140
1980

ISSN 0132 — 5978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიმინდარი

3
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ გაგიმარჯოს, სიცოცხლეო გაღვიძებულო!

მზია ჩხეიშვილი

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

ისევ გამოჩნდა
ყოჩივარდა
მღვრიე არაგვთან
და გაზაფხულზე
ჩუმი თრთოლვით ალაპარაკდა.
მზემ რომ ალერსით
გადმოხედა
მაღლა, ზეციდან,
ბედშავს ციმციმა
ცრემლის წვეთი
ჩამოეკიდა.

მოვარდა ქარი,
ყველაფერი არივ-დარია,
— სულელო,
აბა, რა გატირებს?
— რა? — მიხარია!
მღერის ჩიტუნა,
ჩიტუნია ლამაზად გალობს,
გაზაფხულდაო,
მზეს უმღერის,
აცალე, ქარო!
იხაროს ჩიტმა,

იგალობოს,
ხელს რატომ უშლი?!
ჩუ! გასკდა კვირტი,
სადაცაა
იფეთქებს ნუში!

ჰგავს ჩემს მხიარულ,
გადარეულ,
კეთილ დაიკოს
ეს ცელქი მარტი —
გადაცმული გოგოს კაბაში,

დაქრის,
კისკისებს,
ეზო-ყურე ლამის აიკლოს,
ყველა ორღობე მოირბინა
თამაშ-თამაშით.
ხან გამიცინა,
ხან ფანტელი შემომაყარა,
ია-იებით მოიქარგა
ღაწვისთავები,
მიმოამსხვრია ქილები და
ყველგან დაღვარა
ნაირფერადი,
გამჭვირვალე საღებავები.
მერე ჩამოჯდა
დაქანცული ჩუმად მყუდროზე
და ბებოსავით
ახლა ხვალის თადარიგს იჭერს,
ლოცულობს:
ღმერთო, მშვიდობა და
ლხენა უბოძე
ამ ჩემს მონაგარს,
ამ ფუძე-კარს,
ამ გოგო-ბიჭებს!

ზოგჯერ კი — დინჯი,
დედასავით ალერსიანი,
დედური ზრუნვით
დაფუსფუსებს ზვარსა და ბაღში,
დედის ხელივით მომაგებოს
თბილი ნიავი,
გზის პირს გამივლოს
ყვავილების ფერადი ნაყში.
მოვიდა მარტი,
გააღვიძა
მთაცა და მდელოც;
გაიზაფხულა ცამ და მიწამ,
აფორიაქდა;
შენ გაგიმარჯოს,
გაზაფხულო, კალთანათელო!
შენ გაგიმარჯოს,
მარტის მზეო,
თვალებჭიატავ!
შენ გაგიმარჯოს,
სიცოცხლეო გაღვიძებულო,
კვირტო,
ღაბუა ჩიტივით რომ
ტოტზე ჟღურტულებ!
შენ გაგიმარჯოს,
ჩემო ტკბილო მამულ-დედულო,
მოდი,
დასძახე „კაფე-თესე“,
უხმე გუგულებს!
გუთნისდედურმა იგუგუნოს,
იყოს ზეიმი —
თესვის,
სიკეთის,
მშვიდობის და აღორძინების!
მღეროდეს სიო ენძელებში
გულარხეინი,
მზე ფერად-ფერად
ზღაპრებს ქსოვდეს
ჯადო სხივებით!



საბჭოთა ყველის პიონერებო ყველის ყველა ერთიანდები!

მეგობარობის პიონერული ხაზი საბრძოლო დიდების ხეივანში. მხარდამხარ დგანან ახალციხელი და კრასნილუჩელი პიონერები.

ვილაველით, ვიშრომეთ და ვიცხოვრეთ ლენინურად!

ნუგზარ აუხაზავა

ყოფილხართ ახალციხეში?..

აგერ უკვე რვაასი წელია, რაც ეს სახელი ჰქვია, მაგრამ თითქოს რვაასი წამითაც არ დაბერებულა და დღესაც ჭაბუკურად გამოიყურება. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ ახალციხე ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული ქალაქია: აქ ცხოვრობს და იზრდება ოცზე მეტი ეროვნების ათასობით ნორჩი მოქალაქე — ჩვენი ხვალინდელი დღე. დილაობით, სკოლის ზარის დაწკრიალების წინ, ქუჩებში ტალღა-ტალღად მოედინებიან ოქტომბრელის ვარსკვლავიანი თუ წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები. უყურებ მათ და გიხარია, გაღიმებულსა და თვალებში სხივჩამდგარს რომ ხედავ. თითქოს მზე უნთიათო სახეზე...

ახლა სკოლებში შეიარე!..

დიდი გამოცოცხლებაა ახალციხის პიონერულ ორგანიზაციებში. თუმცა ეს გასაკვირიც არ არის: 1980 ხომ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის წელია! ამასთან, ფაქტობრივად წელს მთავრდება შარშან, 23 იანვარს დაწყებული მარში — „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“ ჰოდა, საითაც გაიხედავ, ყველგან საქმიანი ფუსფუსია, ყველა რაღაცას აკეთებს, ზოგი დიდს, ზოგიც მცირეს — იმას, რაც შეუძლია; არის ერთი შეჯიბრი — ვინ უფრო მეტი წარმატებით გაივლის მარშის სვლაგეზებს, ვინ უფრო სწრაფად და მტკიცედ გამოიმუშავებს ლენინურ თვისებებს — შრომისმოყვარეობასა და პატიოსნებას, პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს, კეთილშობილებასა და ჰუმანიზმს... ამ დიდსა და მნიშვნელოვან საქმიანობას მეთაურობენ ახალციხელ კომკავშირელთა თავკაცი შალვა ტაბატაძე, პიონერთა რაიონული სახლის დირექტორი ნათელა ჯაფარიძე, სკოლის დირექტორები, ორგანიზატორები და პიონერხელმძღვანელები.

მონდომებამ თავისი გაიტანა და წარმატებებმაც არ დააყოვნეს. კარგი მიღწევები აქვს, მაგალითად 1-ლ საშუალო სკოლას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნორჩი თაობის ლენინური — ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით აღზრდას.

აქაური პიონერები კარგა ხანია მეგობრობენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქების — ბუდაპეშტისა და ჰაიდუბესერმენის მეექვსე-მეშვიდე კლასელ მოსწავლეებთან.

— უნგრელ ბავშვებთან დიდი ხანია ვმეგობრობთ, — ამბობს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ნანა ზედგინიძე. — არ იფიქროთ, თითქოს მარტო მიწერ-მოწერით ვკმაყოფილდებოდეთ. უკვე გავცვალეთ პიონერული ცხოვრების ამსახველი ფოტოალბომები, ერთმანეთს ვუგზავნით საჩუქრებიან ამანათებს, ვულოცავთ დღესასწაულებს. განზრახული გვაქვს მალე შინ ვეწვიოთ იქაურ მეგობრებს, მერე ისინიც ჩამოვლენ...

— ჩვენთან უკვე იყო სტუმრად ბუდაპეშტელი პედაგოგი, იქაური რუსული ენის მასწავლებელი, — ჩაურთო მეექვსეკლასელმა ია ფეიქრიშვილმა. — ისეთი კარგი ქალი იყო,

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

3 მარტი 1980

გამოდის 1926 წლიდან

საქ ᲙᲙ ᲪᲙ-ის გამომცემლობა

ისეთი, რომ გაშვება აღარ გვინდოდა... ბევრი საინტერესო რამ გვიამბო, ვალში არც ჩვენ დავრჩენილვართ, ძირისძირობამდე გავაცანით ჩვენი მუშაობის ყოველი კუთხე და კუნჭული. ისე უხაროდა ჩვენი წარმატება, სულ კეთილი ცრემლით ევსებოდა თვალები.

— დავუძმობილდით ვოროშილოვგრადის ოლქის ქალაქ კრასნი ლუჩის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერებს, — გვიამბობს მეექვსეკლასელი ქეთინო ხითარიშვილი. — ჩვენმა მერვეკლასელებმა შარშან გამოშვების საღამო კრასნი ლუჩში, იქაურ თანატოლებთან ერთად მოაწყვეს. შესანიშნავი საღამო იყო!.. უკრაინელი პიონერებიც გვეწვივნენ და ჩვენს ქალაქში, საბრძოლო დიდების ხეივანში ერთობლივი პიონერული ხაზიც ჩავატარეთ. ერთ ნახვად ღირდა, ისეთი ხაზი გამოგვივიდა!

საუბარში მეშვიდეკლასელი ნანა მათოშვილი ჩაერია.

— თვითონ ქეთინო „კრასნილუჩელი“ პიონერია, — ეშმაკური ღიმილით თქვა მან და გაკვირვება რომ შეგვატყო, აგვიხსნა: — ამ სამიოდე წლის წინათ ჩვენი დელეგაცია ჩავიდა კრასნი ლუჩში. ჰოდა, ქეთინო, აგრეთვე მისი თანაკლასელები ლია ბაბურაშვილი და ნინო ზარდიაშვილი სწორედ იქ, ცნობილი მიუს-ფრონტის მემორიალურ მუზეუმში მიიღეს პიონერთა რიგებში. ყელსახვევები ვეტერანმა პარტიზანებმა გაუკეთეს. მათი ოქტომბრელის ნიშნები კი სამახსოვროდ დაიტოვეს მუზეუმში.

გასული წლის მაისში სკოლის ინტერნაციონალურმა კლუბმა მოაწყო მეგობრობის საღამო დევიზით — „მშვიდობა და სოლიდარობა“. სკოლის კურსდამთავრებულებმა პიონერებს უამბეს უცხოეთში მცხოვრებ ბავშვთა მდგომარეობაზე. დათო დოლიძემ, რომელმაც არაბეთში იმოგზაურა, ასეთი რამ გაიხსენა: „ადრე რატომღაც გადაჭარბებულად მეჩვენებოდა, როცა მიამბობდნენ, კაპიტალისტური სამყაროს ბავშვები საოცარ სიღატაკესა და უმეცრების სიბნელეში ცხოვრობენო... მაგრამ მე საკუთარი თვალით ვნახე, როგორ იქექებოდნენ ნაგავში თქვენი თანატოლები, რომ იქნებ ობიანი პურის ნატეხი ან ბოლომდე გაუხრავი ძვალი ეპოვნათ...“ ინგლისელ მოზარდთა ცხოვრებაზე პიონერებს ესაუბრა მზია მავზარაშვილი. შემდეგ მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნაწყვეტები პიესებიდან (გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე), აგრეთვე მსოფლიოს ხალხთა ცეკვები და სიმღერები.

— რაღა შორს წავიდეთ, — გვითხრა სკოლის ორგანიზატორმა იზოლდა წიქარიშვილმა. — ეს ერთი ხანია დროებით გაკვეთილები ჩვენს სკოლაში უტარდებათ მე-3 სომხური სკოლის მოსწავლეებს — ოქტომბრელებსა და პიონერებს. ისინი მეორე ცვლაში მეცადინეობენ. მოსამზადებელი ჯგუფიდანვე საფუძველი ჩაეყარა ამ ორი სკოლის უმცროსკლასელთა მეგობრობას, ისინი მართავენ ერთობლივ მეგობრობის საღამოებს, ერთმანეთს უძღვნიან საკუთარ ნახელავს, სუვენირებს, წიგნებს. ასევე, ვმეგობრობთ მე-2 რუსული საშუალო სკოლის პიონერებთან, მიმოწერა გვაქვს ჩვენი ქვეყნის ... ...

ეს ორი წელია, რაზმეულის მთელი ძირითადი საქმიანობა ლენინის სახელის გარშემო ტრიალებს. ტარდება ვიქტორინები — „ვინ უკეთ იცნობს ლენინს“, გამოცხადდა საუკეთესო საიუბილეო კედლის გაზეთების კონკურსი, მზადდება კონფერენცია თემაზე — „ასეთი იყო ლენინი“, აგრეთვე მკითხველთა კონფერენცია — „ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვისწავლოთ ლენინურად!“

განსაკუთრებული ყურადღება და მნიშვნელოვანი დრო ამ სკოლაში შრომას, მოზარდ თაობაში შრომითი ჩვევების აღზრდას ეთმობა. ყოველ პიონერს გზას უნათებს და სახელმძღვანელო პრინციპად აქვს შრომისმოყვარეობის, წინააღმდეგობათა გადალახვის, შეუპოვრობისა და სიბეჯითის ლენინური მაგალითები. შესანიშნავად მოწყობილ სასკოლო სახელოსნოებში ჩატარებულ საინტერესო გაკვეთილებზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ სამაგიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ აქაურ პიონერებს არ სჭირდებათ არავითარი ძალდატანება და აგიტაცია, ვთქვათ, შაბათობების მოწყობისას, „იცოცხლე, წიგნო!“, „თეთრი ფარის“, „შავი საბადოს“ თუ „სამშობლოს მწვანე სამოსის“ ოპერაციების ჩატარებისას. ზაფხულში, შრომითი მეოთხედის დროს, და გასული წლის შემოდგომაზე, ოქტომბერში, მოსწავლეებმა დიდი დახმარება გაუწიეს ქალაქის სატყეო მეურნეობას, საკონსერვო ქარხანას, წნისისა და სხვილისის საბჭოთა მეურნეობებს. თითქმის მთელი გამომუშავებული თანხა სკოლამ მშვიდობის ფონდში გადარიცხა.

— ვცდილობთ, რომ ყოველი ახალი დღე რაღაცით განსაკუთრებული და უფრო საინტერესო იყოს, ვიდრე წინა, გუშინდელი, — ამბობს ასია გევორქიანი. — ვერ დავიჩივლებ: კარგი პიონერები მყვანან, მშვენივრად გვესმის ერთმანეთისა. ჩემზე გაცილებით უმცროსები არიან, მაგრამ კარგი თანატოლებივით, მეგობრულად მიდგანან მხარში და არ გვიჭირს მუშაობა.

ასია გევორქიანი თავის მუშაობაზე დაწვრილებით არაფერს ლაპარაკობს. სამაგიეროდ, ამ ენერგიულ, პრინციპულ, პედაგოგიური და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულ ხელმძღვანელზე ამ რამდენიმე ხნის წინათ საკმაოდ ფართოდ წერდა ახალციხის რაიონული გაზეთი „წითელი დროშა“.

— არა და, სიძნელე, ერთი შეხედვით, თითქოს არსებობს, — თავშეკავებული სითამამით ერევა ჩვენს საუბარში დალი ქოზაშვილი. — ახალციხე მრავალეროვანი ქალაქია. ჩვენს სკოლაშიც თვრამეტი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი სწავლობს: ქართველი და რუსი, სომეხი და ებრაელი, უზბეკი და ლიტველი, ლატვიელი და ბელორუსი, უკრაინელი, ესტონელი, აზერბაიჯანელი, ოსი... თითოეული მათგანის ხასიათში ყოველთვის წააწყდები რაღაც თავისებურებას. მაგრამ მთავარში ძაინც ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. მიზანი ყველას ერთი გვაქვს და მუშაობას ეს გვიადვილებს. სიძნელეებსაც ეს გვაძლევინებს.

მე-2 სკოლა. აგერ ზედიზედ ორი წელია, ასპროცენტიანი მოსწრებით ამთავრებს სასწავლო წელს ამჟამად მთელი კონტინგენტის ორმოცი პროცენტი ხუთოსანი და ოთხოსანია. ოთხი პიონერული რაზმი მარჯვენაფლანგელია, ხოლო კიდევ ოთხი წარმატებით იბრძვის ამ საპატიო წოდების მოპოვებისათვის.

— წარმატებები მოვიპოვეთ მარშის სვლაგეზზე — „ძლიერნი, გამბედავნი, მარდნი“. — გვეუბნება პატივცემული ნანა დირექტორი. — ჩვენი მძლეოსანი იური ლევიტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახლავთ ნორჩ სპორტსმენთა შორის, გარდა ამისა, იგი საქართველოს ორგზის რეკორდსმენიცაა. ხოლო ამას წინათ სსრკ ნაკრებშიც შეიყვანეს. მას მხარს უმშვენებენ მეოვეკლასე-

ახალციხის პირველი სკოლის პიონერები საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ვი-ზე მეტ სკოლასთან მეგობრობენ. ახლახან მათ ამანათი მიიღეს თანატოლებისაგან.

მე-2 საშუალო სკოლაში ყოველი შაბათობა ხალისიანი შრომის ზეიმად იქცევა ხოლმე.

პიონერთა რაიონული სახლი. ნორჩ ტექნიკოსთა წრე. აქ დამზადებული მოქმედი მოდელები წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

მე-2 სკოლის პიონერებმა და კომკავშირელებმა საკუთარი ხელით მოაწყვეს სასკოლო მუზეუმი.

ლები მ. პილოიანი, ზ. ზილბერშტეინი და სხვები. ამ მოსწავლეებთან უკვე ხუთი წელია ნაყოფიერად მუშაობს რესპუბლიკის პირველი კატეგორიის მწვრთნელი თენგიზ ჯიშკარიანი...

მე-2 საშუალო სკოლაში კიდევ ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ და საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ პავლიკ მოროზოვის სახელობის პიონერული რაზმეული წარმატებით გაივლის მარშის დამაგვირგვინებელ წელსაც.

ახალციხის მე-4 საშუალო სკოლაში იმ დროს მივედით, როცა პიონერთა ოთახში „ნაცადი ხელმოსაქმეები" — უფროსკლასელი პიონერები ხელგარჯილობის გაკვეთილებს უტარებდნენ უმცროსკლასელ მეგობრებს, ოქტომბრელებს. ასეთი რამ თურმე აქ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავი ყოფილა. პიონერები ხშირად ხვდებიან ოქტომბრელებს, ესაუბრებიან ლენინზე, მის თანამებრძოლებზე, სამშობლოს სიყვარულზე, მეგობრობაზე, შრომის სიკეთეზე; მათთან ერთად დადიან ექსკურსიებზე ოფიცერთა სახლის მუზეუმში, ნახულობენ ლენინურ ფილმებს, საპატიო ყარაულში დგანან (სხვა სკოლების პიონერებთან ერთად) დიდ სამამულო ომში დაღუპულთა დიდების ობელისკთან სადგურის მოედანზე, ლენინის ძეგლთან კომკავშირის ბაღში და ა. შ.



ეს სერიოზული ბიჭუნები შრომის მოყვარე ვაჟკაცები დადგებიან. საამისოდ მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი მე-2 საშუალო სკოლაში.

წინასწარ დაგეგმილი გვქონდა და ამიტომ დროც მოვიტოვეთ, რათა ცოტა ხნით პიონერთა რაიონულ სახლშიც შეგვევლო — გვაინტერესებდა, როგორ არის დაყენებული ახალციხეში სკოლისგარეშე პიონერული მუშაობა. კარი შევაღეთ და ერთბაშად აქაც გახურებული ნაირგვარი საქმიანობის მოწმენი გავხდით: ავიამოდელისტთა და გემთმშენებელთა ოთახში პედაგოგი რუბენ პიჯიმიანი პიონერებთან ერთად საბოლოო სახეს აძლევდა მოხდენილ პლანერს, გვერდითა ოთახში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლია სულიაშვილის ხელმძღვანელობით ბავშვები ახალ სპექტაკლზე მუშაობდნენ (მათ უკვე უჩვენეს მაყურებელს „ზამთრის ზღაპარი", „ქაჯანა", „ნაცარქექია"...), დარბაზიდან საცეკვაო მუსიკის ხმა ისმოდა, დირექტორის კაბინეტში კი პიონერთა სახლის დირექტორი, პიონერთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნათელა ჯაფარიძე ათვალიერებდა და ახარისხებდა საკონკურსოდ წარმოდგენილ პიონერულ ნახელავს — ნახატებს, ნაქარგებს, კაბებს, წინსაფრებს...

მთავარი, რაც ახალციხის პიონერული ორგანიზაციის ცხოვრებაში შეინიშნება, ის არის, რომ აქ ყველაფერი კეთდება გულდასმით, გეგმიანად და მიზანდასახულად, ყველა შესაძლებლობის გონივრული გამოყენებით; კეთდება არა იმისათვის, რომ ბავშვმა „რაღაც აკეთოს", არამედ იმისათვის, რომ ეს კეთება, შრომა, შენება მოზარდს სისხლსა და ხორცში გაუჯდეს, მის სულიერ მოთხოვნილებად გადაიქცეს. ბოლოსდაბოლოს, ამჟამინდელი მარშის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ხომ ესეც არის!

და გიხარია, როცა ხედავ: სკოლისკენ მიდიან თუ შინ ბრუნდებიან, საკოლმეურნეო მინდვრებზე შრომობენ თუ შინმოუსვლელთა მემორიალთან საპატიო ყარაულში დგანან, საიუბილეო სტენდს ამზადებენ თუ თვითმფრინავის მოდელებს დასტრიალებენ, ახალციხელ პიონერებს ხალისიანი სხივი უბრწყინავთ თვალებში... თითქოს მზე უნთიათო სახეზე...

ფოტო ვ. ბორისენკოსი

მოსკოვში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დერეფანში, ტრიბუნის ძირას ერთი პატარა კიბეა. ამ კიბეზე ხვდებიან ცნობილ ორატორებს; ესალმებიან სახელგანთქმულ მსახიობებს; ელოდებიან საყვარელ პოეტებს. ავტოგრაფებს სთხოვენ.

აქ ყოველთვის ნახავთ ახალგაზრდობას.

აქ ცხრაას თვრამეტი წლის გაზაფხულის ერთ დღეს ვინმე უმაწვილი იდგა. კიბის ყველაზე ქვედა საფეხურზე იდგა და ელოდა. ვის?

იქვე მახლობლად კედელს მიყრდნობოდა ინგლისელი კორესპონდენტი ფილიპს პრაისი და იქაურობას აკვირდებოდა.

რუსეთის რევოლუცია ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო. ერთი წლის წინათ ჩამოაგდეს რუსეთის მეფე ახლახან პროლეტარული რესპუბლიკის დედაქალაქად მოსკოვი გამოაცხადეს. საბჭოების მთავრობა ის-ის იყო ჩამოვიდა პეტროგრადიდან. ლენინი ჯერ კიდევ არ ცხოვრობდა კრემლში, იგი სასტუმრო „ნაციონალის" ნომერში იდგა.

12 მარტს, რუსეთის მონარქიის დამხობის წლისთავზე, ლენინი პოლიტექნიკურში, მოსკოვის საბჭოს სხდომაზე მოვიდა. მოსკოვმა პირველად იხილა რევოლუციის ბელადი.

იგი მიემართებოდა ტრიბუნისაკენ — დაბალი ტანის, ჯმუხი, მელოტი, ულალწვერა, უზარმაზარ, მბრწყინავ შუბლს ქვეშიდან პატარა, მახვილი, ყოვლისმხედველი თვალები უკიაფებდა.

ლენინის გვერდით მსუბუქად მიაბიჯებდა ტანდაბალი, გამხდარი, პენსნეიანი კაცი, შავი ტყავის ქურთუკი ეცვა. ეს სვერდლოვი იყო.

ლენინი და სვერდლოვი. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოების პირველი სახელმწიფოს პირველი მთავრობის ხელმძღვანელები.

ისინი არცთუ დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. ლენინი სვერდლოვს პირველად ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ შეხვდა. მანამდე, წლების მანძილზე, ლენინი განდევნილობაში ცხოვრობდა, სვერდლოვი კი საპატიმროებსა და გადასახლებაში.

ახლა ისინი ერთად იყვნენ: ლენინი — დედამიწის ზურგზე ყველაზე რევოლუციური პარტიის შემქმნელი, და სვერდლოვი — პროფესიონალი რევოლუციონერი.

თებერვლის რევოლუციის წლისთავი იყო. მარტოდმარტო, უიარა-

ჯავშვის ნაღვლით

ს. ვინოგრადსკაია

მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ღოდ იდგა ახალგაზრდა პროლეტარული რესპუბლიკა იმპერიალიზმის სამყაროს წინაშე. გერმანიის მხედრობა დამამცირებელ პირობებს უკარნახებდა ბრესტში. ლენინი პირველად იდგა მოსკოვის ტრიბუნაზე და მხურვალედ, წინასწარმეტყველურად ამტკიცებდა, რომ რევოლუცია ყველა დაბრკოლებას გადალახავს და არ დარჩება ადგილი არც სასოწარკვეთილებისა, არც გულგატეხილობისათვის.

სხდომის შემდეგ ლენინი და სვერდლოვი ტრიბუნიდან კიბეზე დაეშვნენ. დაბლა, კიბის სულ ბოლო საფეხურზე ლენინს უდარაჯებდა მაღალი, ტანწვრილი, პირხმელი, ფიცხი ყმაწვილი, რომელსაც გიმნაზიური ფარაჯა ეცვა და ჯარისკაცური ცხვრის ტყავის ფაფახი ეხურა.

— ამხანაგო ლენინ, მე ჩავიწერე თქვენი სიტყვა და ახლავე წაგიკითხავთ, — თამამად მიმართა მან სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს და ისე, რომ ნებართვისათვის არ დაუცდია, წკრიალა ხმით დაიწყო ჩანაწერის კითხვა.

— ვინა ხართ? — შეაჩერა ლენინმა.

— „ვეჩერნის“ რეპორტიორი...

— თქვენ სტენოგრაფია იცით? — შეაწყვეტინა ლენინმა.

— არა, არა მჭირდება.

— მაშ როგორ იწერდით? უსტენოგრაფიოდ ხომ ძნელია ვინმეს გამოსვლის ჩაწერა...

— თქვენისა არა. თქვენი ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო ლენინ, ოღონდ ეს... — ნახევრად ბავშვური სახე წყენამ დაუპრანჭა, — დასაწყისი არა მაქვს ჩაწერილი.

— რატომ არა გაქვთ?

— ვერ მოვასწარი ჩაწერა.

— დაიგვიანეთ?

— რას ბრძანებთ, ამხანაგო ლენინ, მე რომ მოვედი, ჯერ მოსულიც არავინ იყო, არც კი მიშვებდნენ! მე ხომ თქვენ დღეს პირველად გნახეთ და ძალიან გავოცდი. მე სხვანაირი მყავდით წარმოდგენილი. თქვენ უკვე დაიწყეთ სიტყვა, მე კი ისევ და ისევ პირდაღებული გიყურებდით და ფანქარი და ბლოკნოტი სულ გადამავიწყდა. მერე კი, როცა გონს მოვეგე, უკვე გვიან იყო და დასაწყისი გამომრჩა... არადა დღეს უნდა ჩავაბარო გაზეთს ანგარიში.

სვერდლოვმა გადაიხარხარა, ჩაახველა და ყმაწვილს თანაგრძნობით დაადო მხარზე ხელი.

— ამხანაგო ლენინ, — დაუინებით განაგრძობდა რეპორტიორი, — ახლავე წავიკითხავ რისი ჩაწერაც მოვასწარი, თქვენ კი მითხარით, რა უნდა დასაწყისში, — ბევრი არ გამომიტოვებია.

და მან კვლავ დაიწყო თავისი ჩაწერილის კითხვა.

— მაჩვენეთ ერთი, როგორ იწერთ. — ლენინმა ყმაწვილს ბლოკნოტი გამოართვა, პირველ გვერდს გადახედა.

— სუფთა წერაში ერთიანი გყავდათ? — სწრაფად ჰკითხა. — რა ბატიფეხური ნაწერია! — და ისევე სწრაფად, როგორც ჰკითხა, ლენინმა თვალი შეავლო ყმაწვილს, მის ჯარისკაცურ ფაფახს, გიმნაზიურ ფარაჯას. — სწავლობთ?

— ლომონოსოვის გიმნაზიის მეხუთე კლასში ვსწავლობდი, მაგრამ მივატოვე, ახლა არ ვსწავლობ.

— რატომ? რატომ არ სწავლობთ?

— გადავწყვიტე რევოლუცია მოვახდინო.

— მერედა რანაირად მოახდენთ რევოლუციას? — ლენინმა სვერდლოვს გადახედა, რომელიც არ მალავდა თავის აღტაცებას ამ აღგზნებული, ენერგიული ჯეელით.

— მე ახალგაზრდული პროლეტარული ორგანიზაციის ქვერაიონის მდივანი ვარ.

— რამდენი წევრია ორგანიზაციაში? — დაინტერესდა ლენინი.

— ორი ათასი იყო! — ამაყად განაცხადა რეპორტიორმა, — მაგრამ რვეულში მინუსები მიწერია.

— მინუსები?

— დიახ, მინუსები, ორგანიზაციიდან წასულთა გვარების გასწვრივ. რვეულში ორგანიზაციის ყველა წევრის სია მაქვს. ვინც წავა, მინუსს ვუსვამ. ძალიან ბევრი მინუსია. ქვერაიონში ბევრი უკვე აღარ იმყოფება.

— სად არიან? — ჰკითხა ლენინმა.

— სამასი ახალგაზრდა კრემლის საარტილერიო პოლკში შევიდა, — უპატაკა რეპორტიორმა.

— მაშ ასე. სამასი. დანარჩენები?

— ჩვენს ქვერაიონში სტუდენტებიც არიან. სკოლებში წავიდნენ. მათემატიკას ასწავლიან. მესაბოტაჟეები შეცვალეს.

— აი ეს შესანიშნავია! — აღფრთოვანდა ლენინი. — როგორია, ჰა, იაკობ მიხაილოვიჩ? ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრმა სტუდენტებმა მესაბოტაჟეები შეცვალეს! მათემატიკას ასწავლიან! რამდენი არიან?

— ოცნი.

— თქვენა, ამხანაგო ახალგაზრდავ, თქვენ რამდენი წლისა ხართ? — მოულოდნელად დაინტერესდა ლენინი.

— უკვე თექვსმეტისა!

— და თქვენ ხელმძღვანელობთ ახალგაზრდობის პროლეტარულ ორგანიზაციას?

— არა, მე ქვერაიონის მდივანი ვარ. თავმჯდომარე კი მეშვიდე კლასის მოწაფეა.

— გამოდის, რომ მუშა ახალგაზრდობას მოწაფეები, გიმნაზიელები ხელმძღვანელობენ. ხომ? — ლენინმა თვალები მოჭუტა, სმენად იქცა.

— ჩვენ მუშა ბიჭები გვიწევდნენ ხელმძღვანელობას. მაგალითად, ეგორ პიშჩაევი „ცინდელიდან“. ეს დიდი საფეიქრო ფაბრიკაა. ამხანაგო ლენინ...

— გამიგია, გამიგია ცოტა რამ „ცინდელზე“, — გაიღიმა ლენინმა.

— კიდევ, პოპოვი იყო ჩვენი ხელმძღვანელი, ლაპინიც. ლაპინი იმ ბრძოლაში მონაწილეობდა, ჩვენები რომ ალექსანდრეს სასწავლებელს იღებდნენ, არბატის მოედანზე. ოქტომბრის დღეებში ისეთი ბრძოლები იყო იქ! სასწავლებელში იუნკრები იყვნენ გამაგრებულნი და ლაპინი ებრძოდა მათ, სანამ დაიჭრებოდა. შემდეგ ჩვენი ხელმძღვანელი იყო. საერთოდ, ამხანაგო ლენინ, ჩვენს ქვერაიონში ბევრი მუშა მოზარდია. ისინი საწარმოებში მუშაობენ, ჩვენ კი მათი პროლეტარული ინტერესები უნდა დავიცვათ. მაგრამ განთავისუფლებული მდივნები არა გვყავს, არც — განთავისუფლებული თავმჯდომარე. ასე რომ, ჩვენ თან კიდეც ვმუშაობთ.

— მაშასადამე, თქვენ რეპორტიორობით ირჩენთ თავს? — ლენინი სულ უფრო დაწვრილებით ეცნობოდა მდგომარეობას.

— დიახ. თავისუფალ დროს კი ახალგაზრდულ სამუშაოზე ვარ. ჩვენს გაზეთშიც უნდა დავიცვათ მოზარდი მუშების პროლეტარული ინტერესები.

— სავსებით სწორია! — კვერი დაუკრა სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ. — მაგრამ იმისათვის, რომ ჟურნალისტი გახდე, ბევრი რამ უნდა იცოდე. თქვენ კი, აგერ, ვხედავ, შეცდომები გაქვთ. — ლენინმა თითი ჩაჭკრა რეპორტიორის ბლოკნოტში, რომელიც ისევ ხელში ეჭირა. — ორთოგრაფიასთან მწყრალადა ხართ. თქვენ კიდევ უნდა ისწავლოთ.

— ამხანაგო ლენინ, რევოლუციას რომ დავამთავრებთ, სწავლას გავაგრძელებ.

— რევოლუცია კი როდის დამთავრდება? თქვენი ფიქრით, ერთი კვირის მერე, არა? — ლენინმა ეშმაკურად მოწკურა თვალები.

ყმაწვილმა არაფერი უპასუხა.

— აბა, დატკბით, იაკობ მიხაილოვიჩ, ხედავთ, რა ჟურნალისტები გვყავს! — თავი გააქნ-გამოაქნია ლენინმა. — როგორი ბავშვის წაღებით დავდივართ ჯერ კიდევ!

რეპორტიორმა უნებურად დაიხედა თავის წაღებზე და ტოლაღებზე.

— არა, ამ წაღებზე როდია ლაპარაკი, — ნაღვლიანად შენიშნა ლენინმა და კვლავ სვერდლოვს მიუბრუნდა: — მოგვიწევს, იაკობ მიხაილოვიჩ, ცოტაოდენი თანხის გამოყოფა ახალგაზრდობისათვის. დაე ჰყავდეთ მათ განთავისუფლებული მუშაკი. გთხოვთ ამ საქმეს პირადად თქვენ მოჰკიდოთ ხელი.

სვერდლოვმა უბის წიგნაკი ამოიღო, ყმაწვილს პენსნედან ალერსიანად გამოხედა მაყვალივით შავი თვალებით, გამოჰკითხა გვარი, სახელი და სწრაფად ჩაიწერა. შემდეგ წიგნაკი უბის ჯიბეში შეინახა და ყველა ღილზე შეიკრა ორბორტიანი ტყავის ქურთუკი.

— თქვენს ჩანაწერს, ამხანაგო ახალგაზრდავ, თან წავიღებ, — თქვა ლენინმა. — ორი საათის მერე მოაკითხეთ „ნაციონალში“. ქვემოთ, კომენდატურაში მიიღებთ მას თავისი დასაწყისიოურთ. ნახვამდის!

ყმაწვილი მაშინვე გაეცალა. ფილიპს პრაისმაც, რომელმაც ყველაფერი დაინახა და გაიგონა, სხვაგან გადაინაცვლა. მაგრამ სანამ თავის ბლოკნოტს დახურავდა, ლენინმა მოასწრო პრაისის მიერ გაკეთებული ჩანახატისათვის თვალის შევლება. თეთრ ქაღალდზე ეხატა სამი თავი — ლენინის, სვერდლოვის და ფაფახიანი ყმაწვილისა.

ლენინი სვერდლოვის თანხლებით გასასვლელისაკენ გაემართა, თან სულ თავს აქნევდა:

— ჯერ კიდევ ბავშვის წაღებით მივაბიჯებთ... გზა კი ძალზე შორია!.. ჰოი, რა შორია!..

უცებ სვერდლოვმა თვალი მოჰკრა — წინ მიმავალ რეპორტიორს ცალი ტოლაღი შეხსნოდა, მისი ბოლო იატაკზე მისთრევდა, თვითონ კი ამას ვერ ამჩნევდა და გზას განაგრძობდა.

— აი, ვლადიმერ ილიჩ, ისეთები, როგორიც ეს ჯეელია, თუმცა ბავშვის წაღები აცვიათ, მაინც ჩანს, რომ წინ წავლენ!

ლენინი მყისვე გამხიარულდა:

— ჰო, ესენი არ შეჩერდებიან!

რევოლუცია ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ზოგჯერ ბავშვის წაღებით მიაბიჯებდა წინ და გზადაგზა იცვლიდა ფეხსაცმელს.

თარგმნა ს. ბეჩოელმა

უკანასკნელი სეფეკრი

ლურმიშხან გრიგოლაშვილი

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

— იქაური შესხია, ვიქტორ ანდრეიჩ, წარმოგიდგენიათ?! — ამბობს მაიორი, დგება, ფანჯარაზე ჩამოფარებულ ფარდის კუთხეს განზე სწევს და გარეთ იყურება, ვითომ ამინდი მაინტერესებსო, ამასობაში კი მალულად იწმენდს თვალზე მომდგარ ცრემლს. — ვეჭვობ, რომ აწი მაგის მკაცრ და ობიექტურ მსაჯულად გამოვდგე. — და ისევ ქართულად მიმართავს ოთარს: — მოყევი ერთი, ხუროშვილო, როგორ იყო... — თან ხელით ანიშნებს, დაჯექიო. — შენ რაღას უდგახარ! — ახლა მე მომიტრიალდა. მე მაშინვე ჩამოვჯექი კუთხეში, მაგრამ ოთარი ფეხზე დარჩა, მხოლოდ ორიოდე ნაბიჯით წამოიწია წინ და დაიწყო:

— შემოვლაზე ვიყავით მე და რიგითი გოლოსნოი. მუხტარი გვყავდა თან. მოგეხსენებათ, უმთვარო ღამე იყო წუხელ და ნისლიანიც. სამიოდე ნაბიჯში ძლივს ვარჩევდით ერთმანეთს. მეცხრე კვადრატს რომ მივუახლოვდით, უცებ მუხტარს რაღაც მოუსვენრობა შევატყეთ. მივუშვი ძაღლი და მივყევით, მივყევით და კი არ წამოვეწიეთ ამ ვაჟბატონს?! აუღია თავი და ზედ საკონტროლო ხნულზე მიაბიჯებს არხეინად. იცოცხლეთ, ჩვენს დანახვაზე დაფეთდა, მაგრამ რაღას იზამდა...

— მე თქვენ ჯერ ასკერიები მეგონეთ. მირამ ტანთი გავარჩინე, — თქვა ბიჭმა გასაოცარი სიმშვიდით.

ალბათ ჰგონია, რაკი ქართულად ლაპარაკობს, უკვე თავი ქუდში აქვს.

— დავუწყეთ რუსულად რაღაცების გამოკითხვა. მაგრამ ვერაფერი შეგასმინეთ. ვიდრე ნაწილში არ დავრეკეთ და ამხანაგი უფროსი ლეიტენანტი არ მოვიდა. აზრადაც არ მომსვლია, ქართულად რამე მეთქვა. აბა, რას ვიფიქრებდი. — ღიმილით დაუმატა ოთარმა.

— ტანთი რომ გავარჩინე, ენახე, ასკერიები არ არიან... — ღიმილით დაუმატა ბიჭმა.

— ეგ „ტანთი გავარჩინე" რაღაა? — შეაწყვეტინა მაიორმა.

ბიჭმა თურქულად რაღაც უთხრა უფროს ლეიტენანტს.

— ვიდრე [illegible] მოვიდნენ და ტანსაცმელი გავარჩიე, ასკერები მეგონენო. — თარგმნა ძია ვიქტორმა. [illegible] ასკერები [illegible] ჩანდნენ. მიმხვდარა, რუსებთან ვარო და... წარმოგიდგენიათ, რას ამბობს? ამას რომ მიეხვდი, ალბულზე ქოლეშვაო!

— ახლა ისიც არ თქვას, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სულ რუსებთან შეხვედრაზე ვოცნებობდიო! — უნდოდ ჩაიცინა მაიორმა და ხმაგამკაცრებით ჩაეკითხა მევლუდს: — მოდი, იცი, რას გეტყვი? ბევრი მიეთმოეთის გარეშე პირდაპირ გვითხარი, რისთვის გადმოლახე სახელმწიფო საზღვარი, იმისათვის, რომ რუსი გენახა?

— არა, რუსი არა... — თქვა ბიჭმა, — ისმაილ ბეგიც, ახმედ ხოჯაც და მოლა ნურიც სულ იმას იძახიან, რუსი ძრიენ საშინალიაო.

— ეგ ხოჯა და მოლა გასაგებია, მაგრამ ეს ისმაილ ბეგი ვიღაა? — ჰკითხა მაიორმა.

— ბეგია ჩონი, დიდი ბეგი! ძალიანათ ზენგინი კაცია, შემჩნეული და ძრავლი კაცია! — შეფარული კრძალვით განმარტა ბიჭმა.

— ზენგინი რაღაა?

— ფუხარა და უქონელი არ არი ჩონსავით, — აუხსნა ბიჭმა, — ინთენი საქონელი ყამს, ქოყანა! ხოჯა ახმედიც ზენგინი კაცია. მე ხოჯას მენახირე ვარ, ხუთი წელია ნახირს ვაონიეფ, დურსუნა პაპას დავყობი...

— ეეჰ, ამანაც ის გაცვეთილი სიმღერა არ წამოიწყო?! — რუსულად წამოიძახა მამაჩემმა და მევლუდას უკვე რისხვით დაუბრიალა თვალები: — ერთი სიტყვით, წუხელ ბოროხა რომ მორეკეთ, ალმოჩნდა, რომ ერთი ფური გაგლიათ, და შენც, რაღა თქმა უნდა, ადექი და საძებნელად წამოხვედი, არა? აზრზეც არა ხარ, როგორ ამოყავი თავი საზღვარს აქეთ! მოყევი, მოყევი!

მევლუდი ახლა კი შეკრთა.

— რატო ჰერსიანობ, ძიავ, — წამოიძახა გაოცებულმა, — მე ეგეთი ხაბარი როდი მითქუანს! მე დურსუნა პაპამ გამგზავნა თქონთანა....

— პაპაშენმა? მაინც რა მინდაო?

— ხაბარი მაქს... რამიები... — მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა ბიჭმა.

— გადამრევს ეს ბავშვი! — ჩაილაპარაკა მაიორმა. მაგიდაზე მდგარი მიკროფონი, ვითომც სხვათა შორის, ბიჭს კიდევ უფრო ახლოს მიუჩოჩა და უცებ ისე გადმომხედა, ეტყობა, გადაწყვიტა კიდეც ჩემი სასწრაფოდ დათხოვნა (რისიც ასე მეშინოდა!). მაგრამ, ვიდრე იგი რამეს მეტყოდა, ბიჭმა არც აცია, არც აცხელა და, თითქოს ჩქარობს მაიორის ეჭვი და უნდობლობა რაც შეიძლება მალე გაფანტოსო, მთავარი სათქმელი პირველივე ფრაზაში გადმოალაგა:

— იმიტომ გადავედი თქონი სინორის[1] აქეთ, რომ თქონი სოფელჩი რო ციხის ფეგია[2] და იმი ძირჩი რო ერთი მოკვამლეა. ტყის მბეგჩავი[3] კაცი. ტერია თქონი!

— ტრიფონა ძია?! — წამოვიძახე უსაზღვროდ გაოცებულმა.

არანაკლებ გამაოცა იმანაც, რომ მამაჩემი და ოთარი ისე მშვიდად შეხვდნენ ამ ამბავს, თითქოს უსიტყვოდ აბობდნენ. ეგ ხომ ჩვენ ისედაც ვიცოდითო, ღიმილით გადახედეს ერთმანეთს, უფროს ლეიტენანტს უთარგმნეს ბიჭის ნათქვამი და მამაჩემი ისევ მე მომიტრიალდა:

[1] სინორი — საზღვარი.

[2] ფეგი — ნანგრევი.

[3] მბეგჩავი — ყარაული.

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 12, 1, 2.



— ტრიფონა ძიას მოგცემ მე შენ! — და სინანულით გადააქნია თავი. — მომესწრო მაინც ამის გარეთ გაშვება! — ეს რუსულად თქვა მაიორმა.

— აწი რაღა აზრი აქვს, ამხანაგო მაიორო! — გაეცინა ძია ვიქტორს.

ᲘᲥᲘᲗᲣᲠᲘ ᲐᲔᲒᲕᲔᲒᲘ

— თამაზ ბატონო, თქვენი ყურადღების ღირსად ხომ არ გამხდიდით ხუთიოდე ათი წუთით? — მეუბნება ოთარი და შუაზე გაკეცილ ლურჯ ყდიან საერთო რვეულს ხელში სატყუარასავით ათამაშებს.

— კი ბატონო, ოღონდ ათიოდე ხუთი წუთით! დიდია?

— არც ისე... შენ მას ასე თუ ისე იცნობ, გუშინწინ უკვე ძოისმინე ერთხელ... მე მხოლოდ იმას შევეცადე, რომ მევლუდას მონაყოლი სისტემაში მომეყვანა და მოთხრობის სახე მიმეცა. ერთი სიტყვით, ეს მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში გახლავთ და არა....

— ჰო, კაი, წაიკითხეთ, ბატონო. რაც არი. ეანრს კი თქვენს დაუხმარებლად განვსაზღვრავთ ჩვენ, კრიტიკოსები!

— თქვენის ჭკუითა და მიხვედრილობით! მაშ, ასე სათაურზე ბევრი ვიფიქრე და ჯერჯერობით ისეთი ვერა მოვიფიქრე რა.

— მაგას მოეკლება. შენ სხვა თქვი.

— გთხოვთ გათვალისწინოთ, ოღონ ეს უფრო ესკიზია მოთხრობისათვის, კიდევ დასრულებული მოთხრობა. ამასთან, არც დიალექტია დაცული...

— ეე, ამდენ შენიშვნებს კი ნამდვილად ვერ შეგვიტანდებით!

— რაც არის, არის, დავიწყოთ, — რვეული გაშალა და მაგიდასთან ჩამოჯდა.

„ვებერთელა კაკლის ჩრდილში ვეება დათვის ტყავზე წამომჯდარა სოფელში განთქმული მონადირე ჰაიდარ ბაბილ-ოღლი.

ხმელი სახე და წელზევით შიშველი, კუნთებად ჩამოსხმული ტანი ჭაღარამორეული შავი ბალნით აქვს დაფარული. მუხლებში გამოკერებული განიერი შარვალი აცვია. ხარის ტყავისაგან ამოსხმული კინჭოტა ქალამნები იქვე მიუყრია.

მზე ჰორიზონტზე დახრილა, სწორედ იმ ადგილას, სადაც მთის წვერზე ეულად შემორჩენილი გუმბათმონგრეული ძველი ეკლესიის სილუეტი აღმართულა.

პატარა ხალიჩაზე ტყვია-წამალი და დასატენი ვაზნები გაუშლია მონადირეს.

მარცხენა მხარი დროდადრო თავს შეახსენებს და უეცრად შეკრთება, ყვითელი კბილებით ტუჩს შეიკვნეტს და ისევ საქმეს უბრუნდება.

მთელი თვეა სანადიროდ არ ყოფილა.

ბოლო ნადირობაზე ხელდახელ შეება სასიკვდილოდ დაჭრილ დათვს, აი, იმას, რომლის ტყავზეც ახლა ფეხმორთხმით წამომჯდარა.

დათვი ბელებით იყო გამოსული და ალბათ ამიტომაც არ იკმარა მკერდში ჩამჯდარი ორი ტყვია. თოფის გატენა კი მოასწრო მონადირემ, მაგრამ ჩახმახმა უმტყუნა. პირველად უმტყუნა დურსუნასეულმა.

მერე შეიბნენ კაცი და მხეცი.

როგორც იქნა ხელში მოიგდო ხანჯალი.

მკერდგაფატრული მხეცის ღრიალმა უკანასკნელად შეძრა ულრანი ტყის სუნთქვაშეკრული მყუდროება.

უსულოდ დაცემულმა დედამ ერთი ბელი ქვეშ მოიტანა და გასრისა. მეორე დედისეულ ტყავში გამოკრა მხარდატორილმა მონადირემ და თან წამოიყვანა.

წნელის ჭიშკარი გაიღო და ეზოში ჰაიდარას ბიჭი შემოვიდა, მევლუდი. ბიჭს ბაჯბაჯით მოჰყვა ზრდაში შესული წვრილთვალა მურა დათვი. ბელს კი უკან ახმედ-ხოჯას ვაჟი, მევლუდას კბილა ყურბანა მოსდევდა. ბიჭებმა ეს რა ხანია ბელის წვრთნას მიჰყვეს ხელი და ცდას არ აკლებდნენ.

ახმედ-ხოჯას ნებიერი და ჭირვეული ვაჟი ყურბანა ლიცეუმში სწავლობს ქალაქში და ახლა არდადეგებზეა ჩამოსული.

ყურბანა ათიოდე მეტრის მოშორებით დადგება და გატენილი ჯიბიდან ერთ ნატეხ შაქარს ამოიღებს. ბელი უკანა ფეხებზე უნდა დადგეს და ეს ათიოდე ნაბიჯი კაცივით გამართულმა გაიაროს. თუ ყურბანამდე მიაღწევს, მსუნაგი დათუნა შაქრით პირს ჩაიტკბარუნებს.

პირნერწყვიანი მევლუდი შურით უცქერის, როგორ აკნატუნებს შაქარს დასაჩუქრებული ბელი და ხშირად მასაც ერევა შაქრის მოპოვების მაცდური სურვილი. და მაშინ ყირაზე დამდგარი მევლუდი ხელებით მიაბიჯებს დიდმუცელა ყურბანასაკენ. მისი წვრილი ფეხები კანკალით მიირხევიან ჰაერში. სუსტი მკლავები მალე ეღლება და იღვედება. სისხლი თვალებში აწვება და ხედვას უძნელებს. ჩერდება. სულს ითქვამს და ისევ მიწევს ყურბანასაკენ.

ღობის იქით, სოფელში ერთადერთი ოსართულიანი ადიდოული სახლის აივანზე ახმედ-ხოჯა გადმოდგარა. კმაყოფილი იღიმება და ამაყად იყურება ხეშეშ ზვეულვაშს.

თვითონ ყურბანა სიცილით ჩასავსავებულა. თან შეუმჩნევლად იხევს უკან-უკან და ცდილობს მანძილი ერთი-ორად გაზარდოს.

მონადირე ღიმილით მისჩერებია ამ სურათს და უხარია, ასეთი მარჯვე და მოქნილი ბიჭი რომ ეზრდება.

გამარჯვებული მევლუდი დათვის ბელივით აკნატუნებს გემრიელ შაქარს.

ყველა კმაყოფილია...

მზე სადაცაა ჩაესვენება. ჩაესვენება სწორედ იმ მთასთან, რომლის წვერზეც გუმბათმონგრეული ძველი ეკლესიის სილუეტი გარინდებულა.

დათუნა დედისეულ ტყავზე წამოგორებულა და მონადირეს ბანჯგვლიან მარჯვენას ულოკავს".

ოთარი კითხვას მორჩა და რვეული დახურა.

— სულ ეგ არი. წერტილი.

— ეჰ, ძალიან მძიმე სურათია, ძმაო! ცოტა შუქი მიეცი, თორემ გულზე შემომაწვა...

— ეჰ, რა ვქნა, რომ ვერ ვხედავ მაგ შუქს... თუმცა, მოიცა, ჯერ არ დამიმთავრებია, — თქვა ოთარმა და რვეული ხელახლა გაშალა.

„ეზოში დურუსუნა პაპა შემოვიდა. მთელი ორი კვირა ქალაქს იყო წასული. რაც ახმედ-ხოჯამ ნახირიდან დაითხოვა, სულ სამუშაოს ძებნაშია მოხუცი. ეტყობა, ქალაქშიაც არ გაუმართლა. არადა, რა იმედებით მიდიოდა, თან ჰასილა ექიმის გამოწერილი წამლის ქაღალდებიც კი წაიღო, ქალაქში ფულს ვიშოვი და ამ წამლებსაც ვიყიდიო...

ცალ ხელში თავისივე ნაოსტატარი ჩემოდანი უჭირავს. უკბილო პირში ჩიბუხი გაუჩრია და მოდის ეგრე ბოლებ-ბოლებით, მუდამ დინჯი, მკაცრი და ფიქრიანი.



ჩემოდანი დაუდევრად შეაგდო მიწურის ებანზე და წინ შემოგებებულ მევლუდს მრისხანე მზერა შეაგებებ. ბიჭი აშკარად შეცბა და ფეხი შეაყენა, კარგად იცნობს დურსუნა პაპას ყოველ გამოხედვას.

— ეს იცოდე, — დურსუნა პაპამ ყოველგვარი შესავლისა და მიეთმოეთის გარეშე იცის ლაპარაკი, ახლაც ეგრე დაიწყო, — თუ კვნიწი შაქრის გულისთვის ერთხელ კიდევ გნახე ყირაზე დამდგარი, მაგ ხელებს მაჯებში დაგაჭრი, იცოდე! თუ იქნები, კაცი იყავი ცხოვრებაში!

იცის მეევლუდმა, პაპა ხელების მოსაჭრელად არასოდეს, არაფრის გულისათვის არ გაიმეტებს შვილიშვილს, მაგრამ პაპა რაკი ასე მოითხოვს, მაშასადამე, ყურბანას წინაშე ამიერიდან აღარასოდეს, არაფრის გულისათვის აღარ დადგება ყირაზე.

— რა მოხდა ისეთი, მამაჩემო, ერთობიან ბავშვები, — თქვა ჰაიდარამ და მოახლოებულ მამას ფეხზე წამომდგარი შეეგება.

— მე იმას ვშიშობ, ჩოქზე დგომასაც არ მიეჩვიოს! — თქვა დურსუნმა და შვილს დუნედ ჩამოართვა ხელი. — როგორაა აიშე?

ჰაიდარამ უმწეოდ ჩაიქნია ხელი.

მამა-შვილმა დათვის ტყავზე მოირთხეს ფეხი.

— სამუშაო კი ვერაფერი ვიშოვე ქალაქში... — ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— ხომ გითხარი, მამაჩემო, ტყუილად მიდიხარ-მეთქი. სჯობს ისევ ახმედ-ხოჯას მოუხარო თავი, მაგასთან ჯიბრი და სიტყვის შებრუნება ჩვენ არ გვარგებს, — გაუბედავად დაიწყო ჰაიდარამ.

— ქალაქში ხეტიალით დაღლილი ღამის სათევად რკინიგზის ვაგზლისაკენ მივლასლასებდი, — ისე დაიწყო დურსუნმა, ვითომ შვილის ნათქვამი არც გაეგონოს. — ქუჩაში ვიღაც წამომეწია, მეძახის: „დურსუნ-ეფენდი, შენ აქ საიდან!" შემოვბრუნდი. ვხედავ, ჩვენებიანთ რეზაა, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი. ნამდვილი ასკერია! იქვე, ჩაიხანაში შევედით და გამოვიკითხეთ ამბავი-ხაბარი. ვუამბე, რაც ვიცოდი სოფლისა, ვინ მოკვდა, ვინ დაინიშნა, ვინ გათხოვდა. სიხარულით გადაირია, როცა ვუთხარი, შენმა ბიძაშვილმა ნაზირამ ხოჯას ქალიშვილი შეირთო-მეთქი. უსინდისო!

დურსუნმა გააპურჭყა, თავი მძიმედ გადააქნია და ისევ ჩიბუხის გაწყობას შეუდგა.

— ეჰ, მამაჩემო, შენგან გამიგონია ძველი ქართველების ნათქვამი, გაჭირვება მაჩვენეო... განა რეზამ კი არ იცის, რომ ოჯახში თურქი ქალის შემოყვანა ქართულ კერაზე წყლის დასხმას უდრის, მაგრამ...

— მეც მანდა მტკივა! — თქვა დურსუნმა. — იცის კი? მაგისთანებმა მხოლოდ სათავისოდ იციან ყველაფერი! სხვათა შორის, არც შენი ლაპარაკი მომწონს ამ ბოლო დროს! რა ბოდიშებსა ხდი!

— რა ვთქვი ისეთი, მამაჩემო!

— თავადაც იცი! რეზასა და ნაზირასთანა არამზადების იმედზე არც ადრე ყოფილა ქართული კერა... ყველა ყველა და, ეს სადივერსანტო სკოლის დამთავრება რაღამ აფიქრებინა!

— რას ამბობ! თავის პირით თქვა? — წამოიძახა ჰაიდარამ.

— გგონია, დამალა?! მერე, იცი, ვინ წვრთნის ამ სკოლებში? ამერიკელი სპეციალისტები! ხოლო ვის წინააღმდეგ გეშავენ ამ არამზადებს, ისიც კარგად მოგეხსენება... ეჰ, გვიან მითხრა ეგ, თორემ მაგასთან ჩაის დამლევი ვიყავი? მოვუყევი ჩვენი ამბავი — ახმედ-ხოჯას სიტყვა ვაკადრე და სამუშაოდან დამითხოვა-მეთქი. რძალი მთელი თვეა ლოგინად მყავს ჩავარდნილი, ექიმებისა და წამლის ფული არ გაგვაჩნია, ჰაიდარა ერთი თვის წინ

დათვმა დაკოდა და მთელი ოჯახი ახლა მევლუდას შეკუურებთ-მეთქი. საწყალი ბიჭი სკოლიდან გამოაგდეს სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო, ხუთი წელია ხოჯას ნახირს დაჰყვება-მეთქი. „ქალაქში ტყუილად წამოსულხარ, — მეუბნება, — უმუშევარი ხალხით სავსეა ქალაქი, სჯობდა სოფელში გეძებნა რამეო. ისე კი, რაღა დროის შენი მუშაობაა, მოსვენება გჭირდება ახლა შენაო“. გამომივიდა ესეც გულშემატკივარი! „იცოცხლე,



მოსვენებაზე უარს არ ვიტყოდი, შვილო, — ვეუბნები. — მაგრამ რა ექნა! სჯობს რამე მირჩიო, იქნებ ორორდე გროში ვიშოვნო-მეთქი“... გამოფენა-ბაზრობაზე თუ გაგივლიაო? — მეკითხება. არაფერი გამიგონია მაგ რაღაც გამოფენის შესახებ-მეთქი. ადექი და ახლავე წავიდეთო, — მეუბნება. წავედით. აი, მაშინ მომიყვა გზაში თავისი დივერსანტობის ამბავი.

ეს გამოფენა საბჭოთა ქვეყნიდან ყოფილა ჩამოტანილი, ჩვენი მემლექეთიც ცალკე განყოფილებაშია წარმოდგენილი. თავი ზღაპარში მეგონა. რა მანქანები გიხდა, რა დოვლათი და ბარაქა! ვუყურებ და თვალები მიჭრელდება, თავი დიდ საქართველოში წარმოვიდგინე, აი, თურმე, როგორია დღეს ჩვენი გურჯისტანი. გული ამომიჯდა, ვიცრემლები ეს დროული კაცი... ვხედავ, რეზამ მაღალი, შავგვრემანი ვაჟკაცი მოიყვანა ჩემთან. „იცნობდეთ, ჩემი თანასოფლელიაო“, — ჩემზე ეუბნება. იმ კაცმა მაგრად ჩამომართვა ხელი. სახელად გურამი რქმევია. დიდი ნასწავლი კაცი ყოფილა. თურქულს თავისუფლად ლაპარაკობს, თუმცა ჩვენ სულ ქართულად ვლაპარაკობდით.

მალე რეზა სადღაც გაქრა და მე იმ კაცს შევრჩი ხელში. ხალხი ირგვლივ ბუზივით ირეოდა, გურამს კი ვატყობდი, ლაპარაკი სწადდა ჩემთან. ერთ მყუდრო ოთახში დავსხედით. ვლაპარაკობთ აქეთურს, იქითურს. უცებ რეზაზე მეკითხება: ვინ არის და რა კაციაო. რაღაც ძალიან ხშირად გვიტრიალებს გარშემო და წარამარა ძმობას მეფიცებაო. რომც არ ეკითხა, ისედაც ვაპირებდი გურამის გაფრთხილებას, ნაძირალაა და ფრთხილად იყავით-მეთქი. ვუთხარი კიდეც! ასეც ვფიქრობდი, რომ მოჩენილი გვყავდაო, — თქვა.

— მერე რამდენიმე ქართველი გამაცნო. ერთ გოგონას თამარი ერქვა. სულ ერთთავად სურათებს მიღებდა.

— წამოიღე, პაპავ, ის სურათები? — შესძახა მევლუდმა, რომელიც სულგანაბული უსმენდა პაპას.

— წამოვიღე, მაშ! ჩემოდანშია, აგერ. წადი, მოიტანე!

— უჩემოდ არ მოყვე! — გააფრთხილა ბიჭმა და წასასვლელად გაიწია.

— მაშინ ბოლომდე მომისმინე, — უთხრა პაპამ. — რომ გაიგეს, ღამის გასათევი არ მქონდა, აღარ გამიშვეს, მთელი ღამე თან ვპურმარილობდით და თან ამბებს მაყოლებდნენ. რაც კი სადმე ერთი ლექსი და ზღაპარი ვიცოდი, სულ მათქმევინეს. ვფიქრობდი, პატარა ბავშვებივით ყვარებიაო-მეთქი ზღაპრები. თურმე ნუ იტყვი, მთელ ჩვენს ნალაპარაკევს, რაღაც ყუთში იწერენ. მე რა ვიცი! ბოლოს სულ მომასმენინეს. აი, როგორც ახმედ-ხოჯას რადიო, ისე ვლაპარაკობ იმ ყუთიდან. ამასაო, — მითხრა გურამმა, საქართველოში ყველა მოისმენს, წიგნებშიაც დავბეჭდავთო, ეს დიდი შენაძენია ჩვენთვისაო. იქ თურმე ცალკე მეცნიერება სწავლობს ჩვენებურ ლაპარაკს.

ქალაქში ჩემი ჩამოსვლის მიზეზი რომ გაიგეს, ძალიან შეწუხდნენ. თამარმა დაწვრილებით გამომკითხა, როგორ გახდა თქვენი რძალი ავად, რა აწუხებს და როგორ აწუხებსო. ამოვიღე ჰასილა ექიმის გამოწერილი წამლების ქაღალდები და ვაჩვენე. აი, ესენი გამოუწერა ამ ორი კვირის წინ ექიმმა-მეთქი. გავიდა და წამლებით სავსე დიდი კოლოფი გამომიტანა. ეს სიცხისაო, ეს ხველისაო, ეს თავის ტკივილისაო, ეს ყელის ტკივილისაო და რა ვიცი კიდევ!

დურსუნმა ჩანელებულ ჩიბუხს ჩაუკიდა და გაწყვეტილი სიტყვა განაგრძო:

— ამდენ წამალს უფასოდ როგორ გამოგართმევთ-მეთქი, შორს დავიჭირე. ამდენ წამალს აქაური გლეხკაცის ნახევარი წლის შრომა სჭირდება-მეთქი. არაფრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ქნეს, რაღაც კაპიკებია მაგისი ფასიო. კაპიკი კი აქაური ყურუშისა თუ პიასტრის ტოლია. მე ვითომ დავიჯერე. მეტი რა გზა იყო. ახლა კი, მევლუდ, მოიტანე ჩემოდანი, გურამმა შენთვის ქართული ანბანის წიგნი გამომატანა"...

— ოჰო! შენ, გეტყობა, ისიც გექნება დაწერილი, ყურბანა რომ წამოეპარა და „წიგნი გაუქცია"! — ვუთხარი ოთარს.

— ახლა სწორედ ეგ ეპიზოდია, მოისმინე, — თქვა ოთარმა და კითხვა განაგრძო.

„მევლუდმა ვერც კი შენიშნა, როგორ წამოადგა თავზე ყურბანა.

— რას კითხულობ? — დასძახა გაოცებულმა და, მევლუდმა წიგნის დახურვაც კი ვერ მოასწრო, ისე წაჰგლიჯა ხელიდან.

მევლუდი გამწარებული წამოიჭრა და ყურბანას ხელებში ეცა, მაგრამ ყურბანა ისე ჩაფრენოდა წიგნს, შეეშინდა მუაზე არ გავგლიჯოთო და ხელი შეუშვა.

ყურბანა განზე გადგა და გაოცებით დაუწყო წიგნს თვალიერება.

მევლუდმა შიშით გახედა ბანზე ჩამომჯდარ დურსუნა პაპას, რომელიც ცალი მხრით ყავარჯენს ჩამოყრდნობოდა და მზეს მიფიცხებული თვლემდა.

ჩრდილში მიგდებულმა ბელმა ახლაღა წამოიწია, ბაჯბაჯით წამოვიდა მათკენ და შორიახლოს ჩაყუნცდა. ახლა იგი ბიჭების ხელახლა წაკიდებასღა უცდიდა, რომ საქმეში ჩარეულიყო.

— ვინ მოგცა შენ ეს გურჯების წიგნი? — გაოცება, ბრაზი თუ მუქარა ერთად ჟონავდა ყურბანას ხმაში.

მევლუდი დამუნჯებულივით შეჰყურებდა და ხმა ვერ ამოეღო. უფრო იმის ეშინოდა, დურსუნა პაპას არაფერი გაეგო, თორემ მისი ჩარევა უფრო გაართულებდა საქმეს. შესაძლოა, ყურბანა შემოლანძღოდა კიდეც ცხელ გულზე, რაც ახმედ-ხოჯას ყურამდე მიაღწევდა და ამას კი მენახირეობიდან პაპას ხელახლა დათხოვნა მოჰყვებოდა, ამჯერად უკვე — სამუდამოდ.

— მაშ, გურჯების ენაზე გინდა წერა-კითხვა ისწავლო? — შესძახა ყურბანამ და წიგნი ზიზღით მოისროლა ბალახებში.

— აიღე წიგნი ახლავე! — გამოსკრა მევლუდმა, მაგრამ დროზე მიხვდა, რომ ახლა ყურბანასთან აგრე ლაპარაკი არ გამოდგებოდა, მით უფრო რომ წიგნს ბელი წაეტანა პირით და თვითონვე უნდა მიეხედა წიგნისათვის, ვიდრე იგი ბელის თათებში ათამაშდებოდა.

— ან ახლავე შენი ხელით დაწვი ეს წიგნი, ან მამაჩემთანაც დაგასმენ და მოლა ნურისთანაც! — განაცხადა ყურბანამ.

— რაც გინდა, ჰქენი! — თქვა მევლუდმა, დაწვით კი არ დავწვავ!

— მაშინ მე თვითონ დავწვავ! — თქვა ყურბანამ და მევლუდს წიგნის წასაგლეჯად ეძგერა.

მევლუდი ადგილს მოწყდა და ეზოდან გავარდა. ყურბანა ბელთან ერთად დაედევნა. თუმცა, თუ სრულ ჭკუაზე იყო იმ წუთას, ისიც უნდა სცოდნოდა, რომ მისი მუცლის პატრონი მევლუდს ვერაფრით დაეწეოდა.

მევლუდი სოფელს გასცდა, სერი გადაირბინა და აღმართებს შეუყვა. იქ, გუმბათჩაქცეული ძველი ეკლესიის გვერდით, საიმედო სამალავი ჰქონდა მოწყობილი.

მეოთხე დღეა პაპა დურსუნს მოსვენება დაეკარგა. დიდი თავსატეხი გაუჩინა ყურბანამ. რამდენი კითხვა

უტრიალებს საგონებელში ჩავარდნილ მოხუცს. თითქოს ალღოთი რაღაცას ხვდება, თითქოს გუმანი სწორ კვალზე აყენებს, მაგრამ ალღოს თუ გუმანს ძველებურად ვეღარ ხდობია ბერიკაცი.

არადა, ალღო და გუმანი ძველებურად ნაღდი და უღალატო აქვს დურსუნს. აკი ამ ერთი კვირის წინვე უგრძნო გულმა, რომ რეზა საკაიკაცოდ არ უნდა ყოფილიყო ჩამოსული. არ მოეწონა რატომღაც, რეზა რომ ხოჯას ოჯახში ნახა ამერიკელ ოფიცერთან ერთად. ისე, კაცმა რომ თქვას, რაკი რეზას ბიძაშვილი ნაზირა ახმედ ხოჯას სიძე გახდა, ეს სტუმრობა თითქოს სრულიად ბუნებრივად უნდა მოსჩვენებოდა ბერიკაცს, მაგრამ გულმა რეჩხი იმაზე უყო, რომ სტუმრად მოსულ რეზას ამერიკელი ოფიცერი ახლდა თან. ერთი შეხედვით, თითქოს არც ამაში იყო რაიმე არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული. ხოჯას ოჯახში, განსაკუთრებით ღამღამობით, აქამდეც ხშირად დაიარებოდნენ მაღალი ჩინის ამერიკელი და თურქი ოფიცრები. მთელმა სოფელმა იცოდა ეს.

საფიქრებელ-საგონებელი მაშინ მოეძალა ბერიკაცს, როცა ამ სამი დღის წინ შვილიშვილმა სხვათა

შორის უთხრა, გუშინ საღამოს ყურბანამ ერთი ხელი ძველი ტანსაცმელი მთხოვაო. დურსუნმა ჯერ ყურს არ დაუჯერა. აბა, როგორი დასაჯერებელი იყო!

— სიზმარში ნახე? — გაუქილიკა კიდეც შვილიშვილს.

— მართლა გეუბნები, — მიუგო მეევლუდმა, — მივეცი, უარს ხომ არ ვეტყოდი, მისეული არ იყო?! ტყაპუჭი მივეცი...

— რა ეშმაკად უნდოდა, ბიჭო, შენი ძონძმანები?!

— აბა, რა ვიცი! ეგრე თქვა, ქალაქიდან არტისტები არიან ჩამოსული, მესაზღვრე ჯარისკაცებისათვის წარმოდგენას დგამენ და მწყემსი ბიჭის ტანისამოსი სჭირდებათო. სამაგიეროდ, თავად რომ აცვია, იმ შარვალს შემპირდა, არდადეგები რომ ჩათავდება და ქალაქში წავალ, ამას შენ დაგიტოვებო.

მაგრამ ეგ კიდევ არაფერი, ნამდვილი თავსატეხი დურსუნს სწორედ მეორე საღამომ გაუჩინა.

იმ საღამოს ბანზე იჯდა ბერიკაცი და, როგორც ყოველთვის, ჩიბუხს აბოლებდა ფიქრში გართული. რაც ხოჯა-ახმედმა ნახირში დააბრუნა, ეს მესამე დღე იყო, შინ რომ აღამებდა, რადგან ერთი ხანია შეუძლოდ იყო და ჰაიდარამ აღარ დაიშალა, თავად გავიდა ნახირში.

შემოღამება მაშინღა იგრძნო მოხუცმა დურსუნმა, როცა ჭვალგამჯდარმა წელმა მაგრად დაქაჩა და სახსრებმაც მომეტებულად დაუწყო ტეხვა. ის იყო წამოდგა და სამფეხა სკამს ხელი წაატანა, რომ სოფლის შარაზე მანქანამ გამოანათა. მანქანა საზღვრის მხრიდან შემოიჭრა სოფელში და, რაღა თქმა უნდა, სამხედროებისა უნდა ყოფილიყო. დურსუნი ბანიდან ჩამოვიდა, სკამი მიწურის ჩასასვლელში დატოვა და საქათმისაკენ გასწია კარის დასაკეტად, მაგრამ მაშინვე შენიშნა, რომ მანქანამ გზიდან გადმოუხვია და ახმედ-ხოჯას სახლისაკენ აიღო გეზი. დურსუნი ქვის ყორეს ამოეფარა და რაღაცის მოლოდინში გაინაბა. მანქანა მართლაც ახმედ-ხოჯას ჭიშკართან შეჩერდა. სინათლეები მაშინვე ჩააქრეს, მაგრამ სახლის ფანჯრიდან გამოჭრილ შუქზე დურსუნმა კარგად გაარჩია კიბეზე სწრაფად ჩამავალი ახმედ-ხოჯა, რომელიც სწრაფად შეძვრა მანქანაში.

დურსუნი წელში მოიხარა და სუნთქვაშეკრული აჰყვა ყორეს. მალე ისე ახლოს მიჩოჩდა მანქანასთან, რომ, თუმცა მანქანაში დაბალი, მოგუდული ხმით ლაპარაკობდნენ, მაინც ადვილად შეეძლო გაერჩია ყოველი სიტყვა.

— ეჰ, ჩაიშალა ჩვენი ოპერაცია, ახმედ-ეფენდი, ჩაიშალა... — ეს რეზას ხმა იყო.

— ვერ ივარგა თქვენმა ვაჟმა! — დამტვრეულმა ფუთა ქულით დაუმატა ვიღაცამ.

დურსუნმა ხმაზე იცნო ის ამერიკელი ოფიცერი.

— იმათ ისე აქვთ შეკრული საზღვარი, რომ... ბიჭს რას ერჩით! — იწყინა ახმედ-ხოჯამ.

— თავად სინჯონ ერთი, როგორია! — ჩაიბურტყუნა ყურბანამ.

— ხომ არა გცემეს, შვილო? — შეშფოთებით ჩაეკითხა მამა.

— რაც მე იქ ვიღრიალე, რაღა ცემა მინდოდა! — სიცილით თქვა ყურბანამ.

— ასეა თუ ისე, შეპირებულ მოტოციკლეტს მაინც მიიღებ, მე სიტყვის კაცი ვარ! — უთხრა ამერიკელმა — მიგეღწია „შავი ავაზას“ სახლამდე, კარგი იყო, მაგრამ რა გაეწყობა!

— როდის ჩამოდის რეზიდენტი? — იკითხა ხოჯამ.

— თხუთმეტ ივლისს... მანამდე კიდევ რვა დღეა, მაგრამ... — თქვა რეზამ.

— როსტოვის მატარებელს ჩამოჰყვება საღამოს შვიდ საათზე. — ამას ამერიკელი ოფიცერი ამბობდა: — ხაშურის რკინიგზის სადგურზე თუ ჩვენი კაცი არ დავახვედრეთ, ძალიან მაგრად მოგვხვდება... არადა, „შავი ავაზას“ იმედი ძალიან მქონდა.

— მერე, რა ადვილი მისაგნებია! — წამოიძახა ყურბანამ, — გუშინწინ სათვალთვალო კოშკურიდან რომ გამახედეთ დურბინდით, ისე იოლად მეჩვენა ყველაფერი! იმ ციხესთან ხომ მასზე ახლოს არავინ ცხოვრობს. სასიგნალო ღობის ქვეშ რომ გავძვერი და წყალდაწყალ დავუყევი, ვიფიქრე, ეგ არის, მეშველა-მეთქი, მაგრამ...

— კიდევ კარგი, იმ დაშიფრული ქაღალდის გადაყლაპვა მაინც მოგისწრია!.. — შეაქო ამერიკელმა.

— ეტყობა, რაღაც ამბავია „ავაზას“ თავს... მთელი სამი თვეა კავშირზე აღარ გამოდის... — თქვა რეზამ.

— უთუოდ რაღაც უნდა მოვიფიქროთ, აბა, წავედით! — ერთბაშად აჩქარდა ამერიკელი ოფიცერი.

„აი, თურმე რა წარმოდგენა გქონიათ გამართული?“ — გაიფიქრა დურსუნმა და კატის ნაბიჯით გაეცალა იქაურობას“.

ოთარმა კითხვა შეწყვიტა და რვეული დახურა.

— აი, ახლა კი მართლა წერტილი, — თქვა მან, — „გასრულდა ესე ამბავი“.

— ეგრე გასრულება ვინ გაიგონა, გაგრძელებას აღარ აპირებ? — ვუთხარი.

— ჯერჯერობით მეტი ვერ მოვასწარი, გაგრძელებით კი ალბათ გავაგრძელებ, როცა მევლუდის ამბავი გაირკვევა.

სახიფათო დავალება

ჰმ, ტრიფონა ლაბაძე! ჩვენი ტყისმცველი. ანუ, როგორც მევლუდმა თქვა, „ტყის მბეგჩავი კაცი“, რომელთან მეგობრობით თავიც კი მომქონდა! ვინ იფიქრებდა!..

მაიორი კი თურმე ფიქრობდა. იმ ცხრამაისობის შემდეგ სულ ტრიფონა ლაბაძეზე ფიქრობდა მაიორი. მოგვიანებით ჩემთვის ზოგ ისეთ რამეს აუხადა ფარდა. ადრე წარმოდგენა რომ არ მქონდა.

ცხრამაისობის შემდეგ მაიორ მიხეილ ბეროშვილს, როგორც თავიდანვე განაცხადა, თურმე მართლა აუყვანია მეტყევე ტრიფონ ლაბაძე „ფრთხილი მეთვალყურეობის“ ქვეშ და მთავარი მეთვალყურის ფუნქციები სწორედ ოთარ ხუროშვილისათვის დაუკისრებია და საგანგებო დავალებაც მიუცია: როგორმე დაახლოებოდა ტყისმცველის ქალიშვილს.

ამ, ერთი შეხედვით სრულიად მარტივი ოპერაციის წარმატების იმედი მაიორს თამამად შეეძლო ჰქონოდა, რადგან კარგად ახსოვდა, რომ ოთარი უკვე შემოდგომიდანვე იცნობდა ტყისმცველს და ერთი-ორჯერ მის ქალიშვილთანაც იყო შენახვედრი. პირველად — „ტრიფონას აგარაკზე“, სადაც ირინა ვითომცდა სრულიად შემთხვევით დაგვიხვდა მე და ოთარს. ვითომცდა-მეთქი, ამას ახლა ვამბობ, როცა მაიორიც და უმცროსი სერჟანტიც თითქმის დარწმუნებულნი არიან, მაშინ ტრიფონამ განზრახ, საგანგებოდ მოაწყო „აგარაკზე“ ასეთი შეხვედრა, თორემ იმჟამად ეს ურთიერთგაცნობა ახალგაზრდა ქალ-ვაჟისა, დიახაც, ძალზე შემთხვევითად და ბუნებრივად გამოიყურებოდა. ირინა შვინდის საკრეფად **გამოჰყოლოდა მამას ტყეში და „აგარაკზე“** ისვენებდა, **ჩვენ კი სოჭოს ძებნაში „აგარაკის“ ახლოს ტყისმცველს** გადავეყარეთ, მეორედ ოთარი სწორედ ჯარისკაცის სახლის გახსნაზე შეხვედრია ირინას.

ნაცხრამაისევეს, როცა გრიგორი კუზმიჩისაგან საგონებელში ჩავარდნილი მაიორი თავს იმაზე იმტვრევდა, თუ როგორ მოეხერხებინა და ტყისმცველისადმი ფრთხილი მეთვალყურეობა დაეწესებინა, მას სწორედ ირინასა და ოთარის ნაცნობობა გაახსენდა თურმე და, როცა გონების თვალით ყოველმხრივ გაჩხრიკა ეს საქმე, გადაწყვიტა რისკზე წასულიყო. მაშინ ოთარისათვის უთქვამს:

— თუ დავუშვებთ, რომ ტრიფონა ლაბაძე მართლაც ის კაცია, ვინც ჩვენ გვაინტერესებს, მაშინ უნდა ვივარაუდით, რომ თავისი ქალიშვილი შემთხვევით არ გაუცვნია შენთვის. მე მგონი, ეს შორსგამიზნული ფანდი უნდა ყოფილიყო, რომელზედაც იგი ალბათ დიდ იმედებს ამყარებდა, რადგან მისი ვარაუდით, ეს ლამაზი გოგო კარგი სატყუარა უნდა ყოფილიყო შენთვის — ახალგაზრდა ჯარისკაცისათვის. ხომ შეიძლებოდა ასეთ ქალიშვილთან შეხვედრით აფორიაქებულსა და თავგზაბნეულს ყოველნაირად გეცადა მასთან კიდევ უფრო დაახლოება და რაკი სატრფოს ასე ახლოს დაიგულებდი, ვერ გაუძლებდი ცდუნებას და ხანდახან საღამოობით საგუშაგოდან „სამოვოლკაშიც“ კი გაიპარებოდი. ასეთი უდისციპლინო, უნებისყოფო და ყბაღია ჯარისკაცს დაახლოება-გამოჭერა და ხელში ჩაგდება კი პირდაპირ ბისწრებაა ყოველი აგენტისა და ჯაშუშისათვის. რაკი ასეა, მოდი, მოხდეს ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო! ხვალ საღამოსვე ვახშმის მერე, ფრთხილად გაინაპირებ ტყისკენ და თავდაღმართებში დაეშვები — პირდაპირ ტრიფონა ლაბაძის სახლისკენ. ამ პირველ ვიზიტზე ბევრია დამოკიდებული. საჭიროა ლაბაძეებთან ასეთი ვიზიტების უფლება მოიპოვო, რომ კვირაში ერთხელ, ან, თუ საჭირო გახდება ორჯერაც მიგესვლებოდეს მათთან. ირინასათვის შენ იქნები ერთი უგონოდ შეყვარებული თაყვანისმცემელი, იმდენად „შმაგი მიჯნური“, რომ ბოლოს და ბოლოს ვეღარ გაუძელი მის უნახაობას და საგუშაგოდან გაპარვისათვის მოსალოდნელი ყოველგვარი სასჯელი, თვით სამხედრო ტრიბუნალიც კი, არაფრად ჩააგდე. იქნებ სჯობდეს კიდეც, ირინასადმი შენს ასეთ გრძნობებში მამამისსაც გამოუტყდე. ტრიფონა აქედან თავად გააკეთებს სათანადო დასკვნებს. საერთოდ კი საჭიროა ტრიფონას თვალში შენ თანდათანობით გაიხსნა და გამოიკვეთო იმ კაცად, რომელსაც სული ეხუთება არა მარტო საბჭოთა ჯარისკაცის ფორმაში, არამედ საერთოდაც... ასეთი სული კი შემთხვევას უცდის, რომ ეშმაკს მიეყიდოს! — ეს ტრიფონას არ ესწავლება, თუ ის მართლაც ის კაცია... გახსოვდეს, რომ ერთობ საპასუხისმგებლო დავალებას ასრულებ. მაგრამ შენი იმედი მაქვს. ეცადე, რომ ძილისწინა შემოწმებაზე, სიის ამოკითხვისას, ყოველთვის ადგილზე იყო. საგუშაგოდან წასვლისას თუ დაბრუნების მომენტში უკიდურესი სიფრთხილე გმართებს, რათა ბიჭებმა ეჭვი არაფერზე აიღონ. ყოველ შემთხვევაში, შენს უშუალო უფროსებს ყოველთვის გვეცოდინება შენი ასავალ-დასავალი. მაგრამ, ცხადია, არც ისაა სასურველი, რომ ათმეთაურზე ხელქვეითებმა დაიწყონ ურიგოდ ლაპარაკი... ჯერჯერობით მხოლოდ ზემდეგმა ბელენკომ არაფერი იცის, სულ მალე შვებულებაში აპირებს გასვლას. ამიტომაც, ზედმეტად ჩავთვალე მისთვის თქმა. მაგრამ თუ მაინცდამაინც აუცილებელი გახდება, ისიც შეიტყობს...

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა ნ ა ღ ვ ი ნ ე ფ ა ძ ე

ადგილის დედა

უერთმანეთოდ
    უდროოდ ვხმებით...
დროის მდინარე
    ლოდებს აგორებს...
თქვენი დანახვა
და თქვენი ხმები
იასამნისფერ
    ქუჩებს მაგონებს.

სიზმრებში ისევ
    ძველ სახლში ვცხოვრობთ,
სიზმრებში ისევ
    კოჯრისკენ მივალთ...
ასე თრთის ალბათ
    გარდახვეწილიც
ადგილის დედის,
    მამულის მიმართ...

უერთმანეთოდ
    ხისებრ გავხმებით,
ჟამთა მდინარე
    ლოდებს აგორებს...
თქვენი დანახვა
    და თქვენი ხმები
იასამნისფერ ქუჩებს
    მაგონებს...

საფლეთპო

ბაბუამ ბრძანა: ეს ჭინკა ბიჭი
ქართლოსად უნდა მოინათლოსო!
შენი სახელი უკვე ლექსია,
ღმერთმა ინებოს,
    რომ იქართლოსო!
წინაპრებს სწამდათ მისი გმირობა
და მოდგმა მისი წმინდა
    ქართული,
ვინც შეგვინახა „ქართლის
    ცხოვრება“
და ფარნავაზის ასომთავრული.

ბაბუამ ბრძანა: პირველი ვაჟი
ქართლოსად უნდა მოინათლოსო!
შენი სახელი არის ლეგენდა,
ღმერთმა ქნას,
    მუდამ რომ იქართლოსო!

იმედი

გიორგის,
    სესეს,
        დათას

თუკი უდროოდ შემომაღამდა,
სამნი გამიწევთ, ვიცი, მზეობას!
თუ უშვილძიროდ უნდა გარდვიდე,
ლექსი გამიწევს მაშინ ძეობას.

ლექსი, რომელსაც ღამეს ვუთევდი,
და შემაჩვია ასე ზეობას;
გამთენიისას თუ დამიღამდა,
სამნი გამიწევთ ერთად მზეობას!

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ი ქ ა ძ ე

გაგონილი

ისიც თქვენებრ ოცნებობდა
ერთ დროს,
ოცნებების კოცონები ენთო,
კოსმოსისკენ გაუწია გულმა
და საოცარ პატარა გულს ენდო.
მას ოცნება სინამდვილედ ექცა...
მაშინაც ხომ ასე ენთო
ეს ცა,
უკვდავება რომ მოჰქონდა
ფრთებით
დიდ კოსმოსის
პირველ ფრთამალ მერცხალს.

ნ ი ნ ო ხ ა რ ა ზ ი შ ვ ი ლ ი

ნოქვრა

ნეტავი შენთან მამყოფა,
სინათლევ ორთავ თვალისავ,
შენს ციხედ გადამაქცია,
ლიბო-კლდეებად რვალისად,
მზე მხარზე შემადგმევინა,
როგორც ჭინჭილა ქარვისა,
შენს მტერთ მარჯვენით შემიმკო
კოშკის კარები ქავისა.

●

ატმის ხეს რძეი შეუსვამს,
მუხლებს უმაგრებს ქარიო,
იმ ბერიდედის ჭირიმე,
მტირალს რომ გწმინდა თვალიო.
მზე ცაზე ქოხებს ხატავდა,
ქოხებს შეკრულებს თივითა
რძედალეული ტუჩები,
ატამო, მზისკენ მიიტა,
მიიტა, შეგალამაზებს, —
დალოცვილია ღვთიითა.



ბავშვების საყვარელი პოეტი

ილია სიხარულიძის დაბადების

90

წლისთავი

ილია სიხარულიძეს ყურნალ „ოქტომბრელის“ რედაქციაში ყოველთვის თავისებური სიხარული შემოჰქონდა. სიხარულიძე მისი ნამდვილი გვარი იყო. არადა რამდენი პოეტი ინატრებდა ფსევდონიმად ასეთ მოხდენილ გვარს.

ილია კარგი პედაგოგი იყო, მას დამსახურებული მასწავლებლის წოდება ჰქონდა მინიჭებული. პედაგოგს რომ შეეფერება, ისეთი დინჯი საუბარი იცოდა. არა მარტო ბავშვებთან საუბრობდა ასე, ლექსსაც ასე კითხულობდა.

რედაქციაში ან სულ ხელცარიელი შემოვიდოდა, გაიგებდა, რა თემები გვაინტერესებდა, ან ერთბაშად სამოთხ ლექსს მოიტანდა და გვეტყოდა: აჰა, აირჩიეთ, რომელიც მოგეწონებათ, დაბეჭდეთო.

ერთ დღეს გავიხსენებ.

რამდენიმე ლექსი მოგვიტანა. წავიკითხეთ. ცოტა შეგვიგვიანდა პასუხი. შეიცადა და მერე თვითონ გვითხრა, მგონი არც ერთი არ მოგეწონათო.

— ყველა ერთიმეორეზე უკეთესია და ახლა იმაზე ვფიქრობთ, რომელი გამოვაქვეყნოთ პირველ რიგში, — ვუთხარით ჩვენ.

გაუხარდა.

— აბა, თქვენ იცით! — თქვა ნასიამოვნებმა.

ილიამ იცოდა, რით მიიპყრობდა ნორჩთა ყურადღებას და რა უნდა ეთქვა მათთვის. ერთხელ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მწერლებს შეხვედრა მოუწყეს. დიდი დარბაზი გაჭედილი იყო ბავშვებით. გამოვიდა ერთი მწერალი, მეორე... შემდეგ გამოაცხადეს, ახლა გამოვა ილია სიხარულიძეო. ის წამოდგა, ცოტა წინ წამოვიდა, მოდიოდა და თან ლაპარაკობდა: „გამარჯობათ, გამარჯობათ, ჩემო კარგო პატარებო!“ მე მეგონა, ჯერ ბავშვებს მიესალმება და მერე ლექსს წაიკითხავს-მეთქი. თურმე უკვე კითხულობდა ახალ ლექსს: „...ჩემს ფიქრსა და ოცნებაში დღე და ღამე ნატარებო: გოგონებო, ბიჭუნებო, მოჭიკჭიკე ჩიტუნებო“.

ეს იყო ბავშვებთან გამართული თითქოს ჩვეულებრივი საუბარი, მაგრამ საოცრად გულითადი, მახლობელი და ალერსიანი.

ილია სიხარულიძეს ძალიან უყვარდა მუსიკა და ლექსებიც ასეთივე მუსიკალური ჰქონდა. ერთხელ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციამ ბორჯომის რაიონში მოაწყო პიონერული ქალაქი, რომელსაც „მზიანეთი“ დაერქვა. ერთ დღეს „მზიანეთის“ პიონერებთან მწერალთა დიდი ჯგუფის შეხვედრა მოეწყო. შეხვედრაზე ბევრი მწერალი გამოვიდა, მაგრამ ყველას განსაკუთრებით დაამახსოვრდა ილიას გამოსვლა. მან წაიკითხა ლექსი: „ამ პატარას, იმ პატარას!“ ბავშვები ჯერ სულგანაბულნი უსმენდნენ, ხოლო, როცა პოეტმა თქვა. დოლი მღერისო, მაშინ ბავშვები ერთბაშად აჰყვნენ:

„ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!“

ამ ლექსმა საოცრად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თვითონ ილია დიდად ნასიამოვნები დარჩა, რომ მისი ნაწარმოები ბავშვებმა ზეპირად იცოდნენ.

ლავრენტი ჟიჟინაძე

მოსწავლე უნდა ვიქნე

აი ვამზადებ ჩანთას,
შიგ ვაწყობ რვეულს, წიგნებს:
წელს სექტემბრიდან სკოლის
მოსწავლე უნდა ვიქნე!

დათვლა ოცამდე ვიცი,
ლექსებიც კარგად ვიცი:
მაინც პატარა ხარო?!
რამდენი ხანი ვიცდი!

პატარა სულაც არ ვარ,
წელს გავიზარდე ძლიერ:
მე პირველკლასელ ნუგზარს
დავეჭიდე და ვძლიე!

ჰოდა, ვამზადებ ჩანთას,
შიგ ვაწყობ ფანქრებს, წიგნებს:
მე სექტემბრიდან სკოლის
მოსწავლე უნდა ვიქნე!

პერის უანა

ყანამ დაისხა თავთავი,
ბევრი, ურიცხვი, მრავალი;
თავთავი ყველა დაპურდა,
გაივსო ყველა მარცვალი.

ჰშვენის მსხვილ-მსხვილი მარცვალი
თავთავებს გრძელ-გრძელ ფხიანებს;
მძიმედ აღელდა პურის ზღვა,
მკაც აღარ დაიგვიანებს.

მძლავრმა სალეწმა მანქანამ
გუგუნი იწყო კალოზე;
უხვი მოსავლის ბარაქა
სოფელში გულით დალოცეს;

ძნებს ყლაპავს შეუსვენებლად,
ყბებს დაუღლელად აქანებს;
პირამდე სავსე ტომრები
ბეღლებში მიაქვთ მანქანებს.

ილია სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 3

საინტერესო მეცხრეა

ამ ცოტა ხნის წინ სკოლაში სტუმრები გვეწვივნენ — აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მასწავლებლები, რომლებმაც თავიანთი სადგურის წრეში გააერთიანეს ყველა ბუნების მოყვარული მოსწავლე. მე ჩემს თანატოლებთან ერთად დიდი სიხარულით ჩავეწერე ნორჩ მეყვავილეთა წრეში.

პირველი დღეებიდანვე დამაინტერესა მეყვავილეობამ და მთელი პასუხისმგებლობით მოვკიდე საქმეს ხელი. წრეს ჩვენი საყვარელი მასწავლებელი, მეთოდისტი მარინა დუმბაძე ხელმძღვანელობს. მან გაგვაცნო ჩვენში გავრცელებული ბევრი სურნელოვანი ყვავილი: აგერატუმი, ასტრა, ცელოზია, თურქული მიხაკი, ბეგონია, რექსი, სალვია და მრავალი სხვა.

ნორჩი მეყვავილეები ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებულ მრავალ ღონისძიებას ვატარებთ, ვაწყობთ ექსკურსიებს, ვიქტორინა-კონკურსებს.

ყველაზე საინტერესო მაინც იყო ექსკურსია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში:

რაც უფრო ღრმად შევდიოდით ბაღში, მით უფრო სასიამოვნო ხდებოდა გარემო. ფრინველების ჭიკჭიკი ისმოდა. თითოეულ მცენარეს ვაკვირდებოდით. მარინა მასწავლებელი გვაცნობდა მათს სამშობლოს, გამრავლების უნარს და ბიოლოგიურ თავისებურებებს; გვიამბობდა მათ წარმოშობასა და გავრცელებაზე.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში თითქმის მთელი დედამიწისათვის დამახასიათებელი მცენარეებია წარმოდგენილი: ქაფურის ხე, კახფეტის ხე, უზარმაზარი ევკალიპტები, ბუტია პალმა, სხვადასხვა კაქტუსი და მრავალი სხვა.

ბაღიდან შთაბეჭდილებებით გამდიდრებულნი დავბრუნდით.

მალხაზ მგელაძე,

ქ. ბათუმის 28-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

ძველი და ახალი თბილისი

ძველი თბილისი — ჩვენ წინაპართა საცხოვრებელი ადგილი. ყოველ ძეგლში ერის კულტურა და ისტორია გახსენებთ თავს, ყოველი ქუჩა უამრავი მტრის რბევისა და ნგრევის მოწმეა.

უკვე აღარავის აკვირვებს ძველი და ახალი თბილისის მეზობლობა. ახალი თბილისი ძველის მხარდამხარ იზრდება, შენდება, მწვანე სკვერებითა და პარკებით მშვენდება.

უკვე დამთავრდა კოლმეურნეობის მოედანთან, ბარათაშვილის ქუჩაზე ძველი სახლების რესტავრაცია. იქ ჩავლა ახლა ერთ სიამოვნებად ღირს. თბილისის გაახლებაში, მის გამშვენიერებაში თითოეული მისი მოქალაქის წვლილია. ეს ბუნებრივიც არის.

თბილისელი ხარ — ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მცირე რამ მაინც გაუკეთო და სიკეთედ შესძინო შენს მშობლიურ ქალაქს.

დათო სულაბერიძე,

თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, V კლასი.

ჩვენ ულამაზესი ბიბლიოთეკა

გასული წლის ოქტომბერში თბილისს-ქალაქი მოსავლის დღესასწაულს ზეიმობდა. მთელმა რესპუბლიკამ მიიღო მონაწილეობა ამ საერთო-სახალხო დღეობაში.

ქართველი მშრომელების სიხარული ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეახალგაზრდობამაც გაიზიარა.

სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსწავლეებთან ერთად დედაქალაქს ეწვივნენ და თბილისელებს თავიანთი საშემსრულებლო ხელოვნება უჩვენეს ვეჯინის საშუალო სკოლის მეექვსეკლასელებმაც — ლია სეფიაშვილმა, მარიამ ბიაშვილმა, ნინო გაბიტაშვილმა; მეხუთე კლასის მოსწავლემ მაია ბერიაშვილმა, მეოთხე კლასელებმა — მალხაზ ვარდოსანიძემ, გელა სიმონიშვილმა და სხვებმა.

ვეჯინელების სასახელოდ უნდა

მერი ბოლქვაძე

ვარსკვლავებიანი აუზი

„ვარსკვლავებიანი აუზი“ — ასე ჰქვია მერი ბოლქვაძის ახალ საბავშვო წიგნს. ხეები, ქარი, მზე, ნიავი, ღრუბლები, ჩიტები, თხილისროლია ციყვები, ეშმაკუნა მელიები, კეთილთვალება გოგონები, მეოცნებე ბებერები... მართლაც რომ საოცარი გმირებითაა ამ წიგნის ქვეყანა დასახლებული.

საღამოს, როცა მობინდდება და ბუდეში მშობლებს თვალს ძილი წაართმევთ, ყველაზე მაღალი ხეები ბარტყებისათვის ფერადი, ფარფატა ზღაპრების მოყოლას იწყებენ, რომელთაც ტყის სიმწვანისა და სიკეთის სურნელი ასდით.

თუ ამ წიგნს ყურადღებით წაიკითხავთ, არ შეიძლება, ფრთამოტეხილმა პაწია მერცხალმა გული არ დაგიღონოთ, ან მასთან ერთგულად მოდარაჯე გოგონას და ვარდისფერი ღრუბლის შიში არ გაიზიაროთ — კატამ არ შეგვიჭამოს მერცხალიო.

განა არ ვიცით, რომ გიყვართ საკუთარი სილამაზით მოხიბლული მზის ცქერა ან ღამღამობით ვარსკვლავებით პირთამდე სავსე აუზში ჩახედვა, იმის ფიქრი, რომ საოცრად კარგია, როცა ვარსკვლავები აუზებში ცხოვრობენ, რადგან ასე უფრო ადვილია მათი ხელით დაჭერა...

თუ ნიავთან ერთი წუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითქვას, რომ მათ ამ დღეს კიდევ ერთი კეთილი საქმეც მოიმოქმედეს: ზეიმიდან შინისაკენ მიმავალმა მოსწავლეებმა სოფელ სართიჭალასთან გზისპირა ტყეში ხანძარი დაინახეს. ბავშვები არც დაფიქრებულან ისე დაიკაპიწეს მკლავები და უფროსებთან ერთად ცეცხლს შეებნენ. ორთაბრძოლამ რამდენიმე საათი გასტანა და, საბოლოოდ, ხანძარი ძლეული იქნა.

მართალია, „ნორჩ მეხანძრეებს" არაქათი გამოეცალათ, მტვერსა და ბურში ამოიგანგლნენ, მაგრამ ამას ვინღა ჩიოდა — რაც მთავარი იყო, უვნებელი გადარჩა ჩვენი ლამაზი დედა-ბუნება, სახალხო სიმდიდრე — ხეძისა და ფიჭვის ნარგავები, გორაკებს შეფენილი ნაირფერი ბუჩქნარები, ხეხილის ბაღები...

ამ გამარჯვებამ აღაფრთოვანა ყველანი.

სადღესასწაულო განწყობილებამ კიდევ უფრო იძალა ნორჩების გულში.

ლალი სიმონიშვილი,

გურჯაანის რაიონის ვეჯინის საშუალო სკოლა, VI კლასი.

ᲓᲐᲕᲠᲣᲜᲔᲑᲐ

სამწუხარო ამბავი შეგვემთხვა:

ჩვენი მონადირე ძაღლი, ინგლისური სეტერი — ჯერი, რომლის თეთრ, ქათქათა ბეწვს შორიშორს გაბნეული შავი ხალები ამშვენებდა, სეირნობიდან შინ აღარ დაბრუნდა.

ბაბუა საშინლად შეწუხდა.

ყველანი ჯერის საძებნელად წავედით.

ბევრი ვეძებეთ ჩვენი ლამაზი ძაღლი, მაგრამ თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერსად მივაგენით.

— ვიღაც უსინდისომ ალბათ მანქანაში ჩაისვა, მოტყუებით წაიყვანა, — დაასკვნა ბაბუამ.

ბაბუა მონადირეა და მწყერზე ნადირობაში ჯერი მისი საუკეთესო თანაშემწე იყო.

ბაბუამ მონადირეთა კავშირში განცხადებაც მიიტანა და ჯერის სურათიც. მაგრამ გადიოდა დღეები, თვეები და არც ძაღლი ჩანდა და არც ვინმე მისი მნახველი.

ასე გავიდა ნახევარი წელი. ბაბუამ გადაწყვიტა, ახალი ლეკვი მოეყვანა და გაეწვრთნა.

არდადეგებზე ისევ ბაბუასთან ჩავედით, ქუთაისში. სადაც ეს ამბავი მოხდა.

ვისხედით და სწორედ იმაზე ვმსჯელობდით, რა ჯიშის ლეკვი მოგვეყვანა: სეტერი, კურცხალი თუ სხვა, როცა კარზე რაღაც ფხაჭუნი მოგვესმა.

ბებიამ კარი გააღო და რას ხედავს!

გამხდარი, ფერდებჩაცვენილი და აქლოშინებული ჩვენი ჯერი შემოვარდა ოთახში და ბაბუას მიეჭრა. მერე ფეხებთან გაგვიწვა. სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა.

სად იყო და რა გადახდა ექვსი თვის მანძილზე, იციან მარტო ჯერიმ და იმ ცუდმა კაცმა, რომელიც ჩვენმა ჯერიმ არ შეიყვარა და თავისებურად დასაჯა კიდეც.

თეა გვასალია,
ნათია გვასალია,

თბილისის 134-ე საშუალო სკოლა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲔᲓᲚᲔᲑᲐ

ᲓᲔᲓᲐ

დედა, — სიცოცხლის კამკამა
წყაროვ,
მშვიდობა გქონდეს მარადა.
შენს სიხარულით ხარობდეს
კავკასიონი, მარაბდა...

რამდენჯერ ცრემლმა დანისლა,
შენი ლამაზი თვალები,
რამდენი სვავი, ბარაქა,
შეიქმნა შენი მკლავებით.

ჩვენო მეგზურო, დედაო,
ბარაქით სავსე ვენახო!
ქვეყნად მშვიდობა და ლხინი,
შენს გასახარად მენახოს.

ხათუნა კახიანი,

დიდი ლილოს საშუალო სკოლა, VII კლასი.

ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

კაბის კალთები
ქარმა ხეებს შემოაფლითა,
სტვენით გარეკა,
როგორც მწყემსმა თავისი ცხვარი.
მე შემოდგომამ
ფიანდაზი დამიგო ფეხქვეშ,
შორს, მუქი ციდან
იღვრებოდა სინათლე მთვარის.

ლელა კოგეშავიძე,

თბილისის მე-15 საშუალო სკოლა, IX კლასი.

თით მაინც მარტო დარჩენილხართ, იმ ფრთებხატულა პეპლის სიხარულსაც აღარ გაიოცებთ, ნიავმა რომ თავისი პეშვით ასეირნა...

ბევრ, ბევრ ლამაზ ამბავს, მზიან მოთხრობას შემოგთავაზებთ მერი ბოლქვაძის ეს პატარა წიგნი.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲔᲚᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲕᲐᲮᲚᲔᲒ ᲘᲐᲡᲐ

ამ პაწია წიგნში ბუდეჩამოშლილი ჩიტის სევდაცაა და ახლად ამოფეთქილი ლორთქო ბალახის სიხარულიც. „ასე სუსტსა და პატარას ხელს როგორ ვახლებ იასა", — ამბობს ერთ ლექსში პოეტი. კრებულში მოთავსებული ყველა ლექსის საათავე ნათელი ჰუმანიზმია, ის დიდი სითბო და სიკეთეა, მხოლოდ ბავშვს რომ შეუძლია ჰქონდეს.

შეუძლებელია, გულკეთილი ბიჭის და „მაისა" ბოჩოლას, ხტუნია ციყვების, პატარა გოგონებისა და ბიჭუნების მხიარულმა თავგადასავლებმა არ მოგხიბლოთ, ერთ ციდა მურიაზე არ გაიცინოთ, ხმაურით რომ ეზოყურე აიკლო, აქაოდა, ყეფას ვსწავლობო...

განცდის სისუფთავე, ბუნებრიობა, აზრის სიცხადე — ეს ყველაფერი პოეტს ბავშვის სულთან აახლოებს, მისეული სამყაროს გულუბრყვილო სიკეთესა და სითბოს აზიარებს.

ავთანდილ მეგრელიშვილის ლექსების კრებული „ხელს აღარ ვახლებ იასა" მარტო პატარებს კი არ მოეწონებათ, მოზრდილებსაც ბევრჯერ მიაბრუნებს იმ საოცარი სამყაროსაკენ, ბავშვობა რომ ჰქვია სახელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲥᲐᲗᲔ ᲛᲣᲖᲐ

დღეს თითქმის წარმოუდგენელია მოზარდის სამყარო კინოს გარეშე, და ბევრი სიკეთის მომტანიცაა ეს „მეათე მუზა“ — როგორც მას კინემატოგრაფიის გარიჟრაჟზე უწოდეს...

„წითელი ეშმაკუნები“, „თემური და მისი რაზმი“, „ქაჯანა“, „კაპიტან გრანტის შვილები“, „არდადეგები“, „იწილო-ბიწილო...“ და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ ფილმში შეხვედრიხართ თქვენთვის ნაცნობსა და საყვარელ სახეებს: ახლა თოჯინური თუ ნახატი ფილმები გაიხსენეთ — „აბა, დამაცადე!“, „ბემბი“, „კონკია და შვიდი ჯუჯა“, „ჭანჭიკელა“...

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და ამ სტუდიის მულტგაერთიანება თითქმის ყოველ წელს უშვებს საბავშვო მხატვრულ ფილმს და თოჯინურ თუ ნახატ ფილმებს.

ბოლო წლებში ეკრანზე „ქართული ფილმის“ არაერთი საბავშვო მხატვრული ფილმი გამოვიდა. მთელი ეს პროდუქცია ცოტაც არის და ბევრიც: ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ მოზარდის მოთხოვნილებას — შეიტყოს და შეითვისოს მეტი და მეტი სიახლე, დაიკმაყოფილოს ცხოვრების ტემპის არნახული აჩქარებით გაზრდილი ცნობისმოყვარეობა; და ბევრია, თუ წარმოვიდგენთ რა რთული და ხანგრძლივი პროცესია ფილმის გადაღება: ჯერ უნდა შეიქმნას ლიტერატურული სცენარი, შემდეგ — სარეჟისორო: მერე შეარჩევენ მსახიობებს, დაიწყება სასინჯი გადაღებები: ფილმს სჭირდება მხატვრობა, მუსიკა, მის შექმნაზე ათობით ტექნიკური მუშაკის ხანგრძლივი და დამქანცველი შრომა იხარჯება... თუმცა ყოველივე ეს როდი ნიშნავს, თითქოს არ გვმართებდეს მეტი მონდომება, გამომგონებლობა და ენერგია ახალ-ახალი და მაღალმხატვრული საბავშვო ფილმების შექმნისათვის.

სულ ახლო წარსულში ეკრანზე ვიხილეთ რეჟისორ ნ. ნენოვას მხატვრული ფილმი „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“, რომელიც სამამულო ომის თემას ეხება: წარმატება ხვდა წილად ლ. სიხარულიძის მუსიკალურ ფილმს „უფროსი და“, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი სახელოვანი მუსიკალური კოლექტივები: ვოკალური ანსამბლი „რუსთავი“, ვოკალურ-ინსტრუმენტული ჯგუფები — „ანსამბლი 75“ და „სამაია“.

გასული წლის ნოემბერში ჩატარებულ რესპუბლიკურ კინოფესტივალზე ერთ-ერთი პრიზი დაიმსახურა რეჟისორ პ. ჩარკვიანის მხატვრულმა ფილმმა „როცა დედები შინ არ არიან“, რომელიც შექმნილია მწერალ რ. ინანიშვილის სცენარის მიხედვით. ფილმში ასახულია ორი ბავარი ბიჭუნების სასაცილო ფათერაკები სოფლად ზაფხულის არდადეგების დროს.

საინტერესო პოეტური ფილმი შექმნა რეჟისორმა თ. მაღალაშვილმა. ამ ფილმს „მგლის ლეკვი“ ჰქვია. იგი გვაცნობს სოფელში ჩასულ ქალაქელ გოგონას, რომელსაც უცხო გარემოში თანატოლ ვაჟებს შორის თავი ისე უჭირავს, თითქოს მათ წრეში გაიზარდაო, და თავისი უშუალობითა და გამჭრიახობით ორავრების სიმპათიებს დაიმსახურებს.

მალე ეკრანზე გამოვა ახალი მხატვრული ფილმი „ნიკა მთაში“. იგი მოგვითხრობს მოსწავლე ბიჭუნა ნიკაზე, რომელიც ზაფხულის არდადეგებზე მამასთან ერთად მთაში გაჰყვა გეოლოგებს.

თუმცა, უმჯობესია მოვუსმინოთ, რას გვეტყვის ამ ფილმის შესახებ თვითონ რეჟისორი ზურაბ თუთბერიძე;

— „ნიკა მთაში“ საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია, რომლის სცენარი ვ. გიგაშვილმა შექმნა.

ფილმის მთავარი გმირი ნიკა, მთაში ზაფხულის არდადეგებზე გაჰყვა გეოლოგიურ პარტიას, სადაც მამამისი მუშაობს. 12 წლის ბიჭუნაზე მთაში გატარებულმა დღეებმა წარუშლელი კვალი დატოვა. ნორჩის გონებამ პირველად იგრძნო და გაიცადა ურთიერგატანის ფასი, მეგობრობის ძალა, საქმისადმი პასუხისმგებლობა, უფროს-უმცროსობა: მთის განუმეორებელი ეგზოტიკით მიღებული შთაბეჭდილებები იმდენად ძლიერია, რომ ნიკა იქ დარჩენას დააპირებს, კიდეც...

ფილმში ცნობილ მსახიობებთან, თ. არჩვაძესთან და ზ. საკანდელიძესთან ერთად მონაწილეობს ნორჩი დებიუტანტი, ნიკას როლის შემსრულებელი მერაბ სისაური, რომელიც მიხეილ მესხის ნორჩ ფეხბურთელთა სკოლის საუკეთესო მოსწავლეა. მას თანაგუნდელებმა „პელე“ შეარქვეს, და ეს მეტსახელი ზუსტად გამოხატავს მერაბის ხასიათს: საქმისადმი უზომო ერთგულება, მიზანსწრაფულობა, გამტანობა, მეგობრობა, სიკეთე... სწორედ თვისებათა ამ ერთობლიობამ განაპირობა მისი წარმატება ფილმში.

საინტერესო საბავშვო ფილმებს გვპირდება სამომავლოდ კინოსტუდია „ქართული ფილმი“. ამაზე გვეუბრება კინოსტუდიის სასცენარო-

სარედაქციო კოლეგიის წევრი ალექსანდრე მახარაძე:

— სანამ უშუალოდ გავეცნობოდეთ მომავალ გეგმებს, ერთი რამ მინდა გითხრათ: „ქართულ ფილმში" უკანასკნელ 4-5 წელიწადში შექმნილი საბავშვო ფილმები ცენტრალური ტელევიზიის გაერთიანება „ეკრანის" დაკვეთითაა გადაღებული, რაც, უნდა მოგახსენოთ, სასარგებლოსთან ერთად საზიანოცაა: სუსტდება ჩვენი შემოქმედებითი ძალების დაინტერესება საბავშვო ფილმებისადმი, იკლებს მცდელობა საკუთარი სტილის, ხელწერის შემუშავებისათვის.

წელს ისევ გაერთიანება „ეკრანის" დაკვეთით ვიწყებთ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის (პიროლითი სათაურია „ალხანა და ჩალხანა") გადაღებას, რომლის სცენარი დაწერა ო. ჭელიძემ. ფილმი გვიყვება ორი ონავარი ბიჭუნას თავგადასავალს.

ზ. არსენიშვილისა და ნ. ხატისკაცის სცენარის მიხედვით რეჟისორი თ. მაღლაშვილი გადაიღებს მხატვრულ ფილმს „უმცროსი ძმა". მასში მოთხრობილი იქნება ორი ძმის — მოზარდისა და ჭაბუკის ამბავი. ძმებმა გადაწყვიტეს წასულიყვნენ ომში, სადაც მათი მამა იბრძოდა. ბრძოლის ფონზე ვითარდება ბიჭების სასაცილო, ზოგჯერ ნაღვლიანი ფათერაკები. პარალელურად ნაჩვენებია ზურგის ცხოვრება, მისი არანაკლებ გმირული საქმეები დიდი სამამულო ომის წლებში.

ასევე საინტერესო შემოქმედებითი გეგმები აქვს კინოსტუდია „ქართული ფილმის" მულტგაერთიანებას. ამის შესახებ გვესაუბრება მთავარი რედაქტორი მიხეილ კაკაბაძე:

— ქართულმა ნახატმა და თოჯინურმა ფილმებმა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ფართო აღიარება მოიპოვა არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო ეკრანზედაც.

საკმარისია გავიხსენოთ ახალგაზრდა რეჟისორების — ბ. შოშიტაიშვილის, შ. ჭავჭავაძის, ი. სამსონაძის, გ. კასრაძის, ი. დოიაშვილის ნახატი და თოჯინური ფილმები: „კაცუნები", „ბრძენი და ვირი", „უკანასკნელი წვეთი", „მებაღე", რომლებმაც წარმატებით მოიარეს საკავშირო და მსოფლიოს სხვადასხვა კინოფესტივალები.

საინტერესო იყო შარშანდელი და შარშანწინდელი შემოქმედებითი წლები: ბავშვებმა არაერთი საინტერესო, მხიარული ნახატი თუ თოჯინური ფილმი მიიღეს: „მამლაყინწა" (რეჟისორი ბ. შოშიტაიშვილი), „კომბლე" (რეჟისორი გივი კასრაძე); ახალგაზრდა რეჟისორმა კ. მაცაბერიძემ გადაიღო საინტერესო, ორიგინალური ფილმი „ოქროსთმიანი მზეთუნახავის მოტაცება", რომლის სცენარი ქართული ხალხური ზღაპრის „წიქარას" მიხედვით დაწერა მ. სალარიძემ; ბავშვის საერთაშორისო წელს მიეძღვნა ორნაწილიანი თოჯინური ფილმი „ბაჩო მიდის ბებიასთან" (რეჟისორი კ. სულაკაური); სცენარი შექმნილია ო. იოსელიანის ცნობილი „დაჩის ზღაპრების" მიხედვით.

წელსაც განზრახული გვაქვს რამდენიმე ნახატი თუ თოჯინური ფილმის გადაღება: ნ. ბენაშვილის სცენარით რეჟისორი ვ. ბახტაძე გადაიღებს ნახატ ფილმს „ხელმარჯვე ოსტატი გამოფენაზე", რომელიც საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით იქმნება. უკვე მიმდინარეობს ნახატი ფილმის „არლეკინიადის" გადაღება, რომელზედაც მუშაობს რეჟისორი კ. მაცაბერიძე.

მალე გამოვა ეკრანზე თოჯინური ფილმი „საიდუმლო".

ჩვენ გადასაღებ პავილიონში ამ ფილმის გადაღებას დავესწარით და ფილმის რეჟისორს გოგი კასრაძეს ვთხოვეთ ეამბნა მის შესახებ.

— თოჯინური ფილმი „საიდუმლო" მ. კობახიძის სერიის — „ცნობისმოყვარის" გაგრძელებაა, — გვითხრა რეჟისორმა. — მასში ვეცნობით ცნობისმოყვარე ბიჭუნას მორიგ ფათერაკს.

ეს ფილმიც, ისევე როგორც მისი წინამორბედები, საინტერესო ეპიზოდებითაა სავსე, რამაც საშუალება მისცა მულტიპლიკატორ ო. დუმბაძეს, შეექმნა საინტერესო სახეები. ფილმის ოპერატორია ვ. ქაროსანიძე. ეს ნაწარმოები ორიგინალურია თოჯინების ახლებური კონსტრუქციითა და გადაღების ტექნიკით. ვფიქრობთ, იგი დააინტერესებს მოზარდ მაყურებელს...

სწორედ მოზარდი მაყურებლის დაინტერესება, მისთვის სულიერი საზრდოს მიწოდება, მისი ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს ქართველ კინემატოგრაფისტთა უპირველეს საზრუნავს.

ვახტანგ ჟღენტი

ფანტასტიკური
მოთხრობა

შოთა
გაგოშიძე

მხატვარი
ზაურ დეისაძე

სანაძლეო

I

— ალო, ჯონათან.

— სალამი, გლებ.

— შეგიძლია მოხვიდე ჩემთან?

— სიამოვნებით. გივი ოძელმა რამე საინტერესო ამბავი ხომ არ ჩამოიტანა დედამიწიდან?

— მოხვალ და გაიგებ.

— ახლავე მანდ გავჩნდები.

როდესაც ვიდეოფონის ეკრანი ჩაქრა, გლებ ტოლსკიმ გივი ოძელს უთხრა:

— სანაძლეოს ვდებ, რომ ჯონათანი ვერასდიდებით ვერ მიხვდება, რა დევს ამ ყუთში.

— ნუ დაგავიწყდება, გლებ, რომ ეგ ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, საგნებისა და მოვლენების წვდომის საოცარი უნარი აქვს. მაგის ინტელექტის იმდენად მჯერა, რომ სრულიად უყოყმანოდ გეთანხმები სანაძლეოზე.

— რაზე დავნაძლევდეთ?

— დამარცხებულმა გამარჯვებულს რამე სურვილი შეუსრულოს.

— რა უცნაური და ძნელი განსახორციელებელიც არ უნდა იყოს?

— რა თქმა უნდა.

— კეთილი, თანახმა ვარ.

მალე ოთახში ქერა გოლიათი შემოვიდა. წამით შეჩერდა, მარცხენა ხელი კვადრატულ ნიკაპზე მოისვა, რაც მოწმობდა, რომ უზომოდ გახარებული იყო, მარჯვენით კი გივის ხელი ჩაბღუჯა.

— ჯონათან, მომაგებინე სანაძლეო, — შეეხვეწა გივი.

— სანაძლეო? იქნებ მასწავლო, რანაირად?

— უნდა გამოიცნო, რა ჩამოვუტანე გლებს.

ჯონათანის მახვილმა თვალმა უმალ შეამჩნია ყუთი.

— ამაშია ჩამოტანილი ნივთი?

— დიახ.

— ცოტა სულს მოვითქვამ და ვნახოთ...

— აბა, შენ იცი, ჩართე, თავში რომ გამომთვლელი მანქანა გაქვს ჩამონტაჟებული, — წააქეზა გივიმ.

მეგობრები გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ. ჯონათანმა მაგიდა შეათვალიერა და ერთ მოზრდილ დანას დასწვდა.

— საინტერესოა, — იკითხა მან, — რის მაქნისია აქ ეს ხანჯლისტოლა იარაღი? რა დანიშნულებას ასრულებს? ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მწვადის ან, ვთქვათ, ბიფშტექსის დასაჭრელად არ გამოდგება. ამისათვის უფრო შესაფერი იქნებოდა ჩვეულებრივი დანა-ჩანგალი. გივი, ნეტავ შენი საჩუქრისთვის ხომ არაა გამიზნული?

გივის ხმა არ ამოუღია. გლები კი აღშფოთდა:

— თუ ძმა ხარ, დაკითხვას თავი დაანებე. ეგ რაღა გამოცნობა გამოვა, თუ პასუხს ჩვენ დაგვაცდენინებ?

— როგორ გეკადრებათ, მხოლოდ ხმამაღლა ვაზროვნებ. ვფიქრობ, ამის ნება მაინც მაქვს.

— ბატონი ბრძანდები. ილაპარაკე, რამდენიც გინდა, ჩათვალე, მე და გივი თითქოს არც კი ვიყოთ აქ.

— კარგი და პატიოსანი. მაშ, ვიწყებ. რა შეეძლო გივი ოძელს წამოეღო თავისი მეგობრისთვის ხელა გზაზე? ცხადია, ის, რაც ჩვენთან არ მოიპოვება. ნივთი, ხელსაწყო ან სხვა არაორგანული რამ გამორიცხულია, რადგანაც პლანეტა გაგარინის საწარმოებში მზადდება ყველაფერი, რის დამზადებაც ჩვენს მშობლიურ დედამიწაზე შეიძლება. მაშასადამე, ყუთში დევს რაღაც ორგანული ნივთიერება, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საჭმელი. რა უნდა იყოს იგი? ამ პლანეტის მზის — ვარსკვლავ კაპელას მცხუნვარე სხივების წყალობით აქ ყველაფერი მოდის: ალაცელეული, ბოსტნეული, ბალახეული. გვაქვს ხორცი, ხილი. მაგრამ... აი, სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. რატომღაც გაგარინს ნიადაგმა, მიუხედავად ადამიანთა დიდი მეცადინეობისა, მცენარეულობის ყველა სახეობა ვერ შეიგუა. სდექ, ჯონათან! ვგონებ, მივუახლოვდი გამოცანის ამოხსნას: პლანეტა გაგარინზე ჯერ არავის მოუწევია ბანახის, ანანასისა და მანგოს მოსავალი. რატომ? ეს არავინ უწყის, ყუთში ამ სამიდან ერთ-ერთი ხილი აწყვია, ხოლო ეს ხელსაწყოც თუ მხედველობაში მივიღეთ, — და ჯონათანმა დიდი დანა ისევ თავის ადგილას დადო, — მაშინ იგი ანანასი ყოფილა.

გივიმ და გლებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი ვერ შეიკავეს.

— ერთი ამას დამიხედეთ! მართლაც რომ ლოგიკურ მანქანასაც კი შეშურდება ასეთი ანალიზი, — წამოიძახა გლებმა.

— ამიტომ ჭაშნიკი გამომცნობს ეკუთვნის, — დაასკვნა გივიმ.

— მე კი სანაძლეო წავაგე. როდის ინებებ პირობის განაღდებას?

— არ გვეჩქარება, გლებ, მაგის დროც მოვა.

გივიმ ანანასი ყუთიდან ამოიღო და ჩვეული სიმარჯვით დაჭრა, სურნელოვანი პატარა ნაჭრები ლამაზად დაალაგა ლამბაქებზე. ჯონათანმა და გლებმა ხეირიანად ვერც კი მოასწრეს პირი ჩაეტკბარუნებინათ ორმოცდაშვიდი სინათლის წლის მანძილიდან ჩამოტანილი სანუკვარი ხილით, რომ უეცრად ვიდეოფონი ჩაირთო. ახალგაზრდა დისპეტჩერმა მოკრძალებით მიმართა იქ შყოფთ:

— ბოდიშს ვიხდი, რომ უდროოდ გაწუხებთ. გლებ ტოლსკის, გაგარინის კოსმოსური სადგურის უფროსს, უხმობს ვარსკვლავ კაპელას სექტორის კოსმოსური ცენტრის გამგე.

— შემაერთეთ.

— ახლავე.

ეკრანზე აკიაფდა ასტრონომ ჩან დონის სათვალე.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ, გლებ? იმედია, მაპატიებთ! — და როცა ჯონათანი და გივი შენიშნა, დაუმატა: — ეს საქმე სამივეს გეხებათ, ცალ-ცალკე აღარ მომიხდება თავი შეგაწყინოთ. კოსმოპორტიდან ახლახან მაცნობეს, რომ გივი ოძელის ვარსკვლავმფრენი პლანეტა ავრორაზე გასაფრენად უკვე გამზადებულია. სტარტი — ერთი საათის შემდეგ. კეთილი მგზავრობა, მეგობრებო!

ეკრანი ჩაქრა. გაკვირვებული ჯონათანი მეგობრებს მიუბრუნდა:

— რა რეისზეა ლაპარაკი? არაფერი მესმის.

— დალახვროს ეშმაკმა! — თქვა გივიმ. — ანანასისა და სანაძლეოს გამო უმთავრესი აკი გამომრჩა! მომიტევე, ძმაო, თავიდანვე შენთვისაც უნდა მეთქვა, რომ დედამიწის დავალებით სამივენი ავრორას უნდა ვესტუმროთ.

— რა მოხდა?

— მხოლოდ ის, რომ მოულოდნელად მასთან კავშირი შეწყდა.

— და ჩვენ უნდა გავიგოთ, რა მოხდა პლანეტაზე?

— ასე გამოდის.

გლები კედელზე გაკრულ გალაქტიკურ რუკასთან შეჩერდა. მერე ჯონათანს მოუბრუნდა:

— თუ ძმა ხარ, ამიხსენი, რას წარმოადგენს ეგ ავრორა?

— ავრორა ახალაღმოჩენილი პლანეტაა კუროს თანავარსკვლავედში. თხუთმეტი წელი იქნება, რაც დასახლებულია. დედამიწიდან დაახლოებით ოცდაერთი პარსეკით უნდა იყოს დაშორებული. ამას შემდეგ დავაზუსტებთ.

— ეცლიათ მაინც ანანასის შეჭმა! — ჩაერია საუბარში გივი.

— არა უშავს რა, გზაშიაც გემრიელად შევექცევით, — უპასუხა გლებმა.

2

— რაღაც არ მომწონს ამ ვარსკვლავის სპექტრი, — დაფიქრებით წარმოთქვა ასტროფიზიკოსმა ჯონათან რიდმა და მაგიდაზე ფოტოსურათები მარაოსავით გაშალა. — ხედავთ კობალტის ხაზებს? ასეთი ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობის მნათობები იშვიათად გვხვდება ჩვენს გალაქტიკაში.

— შენი აზრით, კობალტის მზესა და მისი პლანეტის კოლონისტთა დუმილს შორის რაიმე კავშირია? — ჰკითხა გლებმა.

— არა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ვინ იცის... „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ“...

— „ჰამლეტი“, პირველი მოქმედება, მეოთხე სურათი... შენი საყვარელი შექსპირი რომ არ გამოურიო, ისე ხომ არ შეგიძლია. თუ გგონია, რომ ამ მნათობის გამოსხივებამ ზიანი მოუტანა ადამიანებს, იცოდე, რომ ეს ყოვლად უსაფუძვლო ეჭვია, — თქვა გივი ოძელმა. — ახალი პლანეტების ათვისება წინდაუხედავად ხომ არ ხდება! ყოველთვის ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო უძღვის წინ და შეუძლებელია, თუკი ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ოდნავი საფრთხე მაინც არსებობდა, ეს შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

ჯონათანმა სპექტროგრამები აკრიფა და კვლავ დაკვირვებით დააცქერდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— აბა, რა უნდა გითხრა, გივი. მხოლოდ წინათგრძნობა მალაპარაკებს, სხვა არაფერი, რატომღაც შინაგანად მჯერა, რომ ერთ-ერთი მიზეზთაგანი ვარსკვლავის უჩვეულო სპექტრი უნდა იყოს.

ვარსკვლავმფრენი ავრორას ატმოსფეროში შეიჭრა და პლანეტას ასიოდე კილომეტრის სიმაღლიდან რამდენჯერმე შემოუფრინა. კოსმონავტებმა შეამჩნიეს, რომ მხოლოდ ეკვატორული სარტყელი იყო დასახლებული, და ხომალდიც იქით მიმართეს. მალე ერთი პატარა ქალაქის სიახლოვეს დაეშვნენ. გივიმ ანალიზატორებს დახედა და მეგობრებს უთხრა:

— რადიაცია ნორმალურია, მიზიდულობის ძალა დედამიწისას უახლოვდება, ატმოსფეროს შემადგენლობაც სავსებით შესაფერია ჩვენი ორგანიზმისათვის. თამამად შეგვიძლია მსუბუქი სკაფანდრებით გავიდეთ გარეთ და ვნახოთ, თუ რა დაემართათ კოლონისტებს. ჯონათან, შენ ვარსკვლავმფრენში დარჩები და ჩვენთან მუდმივი კავშირი გექნება.

ჯონათანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ფრთხილად იყავით... თუ რაიმე საშიშროებას წააწყდეთ, სჯობს მოერიდოთ და უკან გამობრუნდეთ.

— ნუთუ ცოცხალი აღარავინ დარჩა პლანეტაზე, რომ რადიოთი მაინც დაგვკავშირებოდნენ? შეუძლებელია, ჩვენი დაჯდომა არ შეემჩნიათ, — თქვა გლებმა.

— მართლაც გასაკვირია, — დაუდასტურა გივიმ.

კოსმონავტებმა ფეხი დააღგეს მიწაზე და ირგვლივ მიმოიხედეს. ერთადერთი უჩვეულო რამ, რაც შეამჩნიეს, ნარინჯისფერი ბალახი და ასეთივე ელფერის ტყე იყო, რომელიც იქვე მახლობლად იწყებოდა. გრლნათური ხეების ჩაყვითლებული, უცნაურად გადახლართული და დაკლაკნილი ტოტები მტრულად გამოიყურებოდა. მეგობრებმა არცთუ ხალისით შეაბიჯეს ტევრში და ოდნავ შესამჩნევ ბილიკს გაუყვნენ. სულ მალე ორ პატარა ბიჭუნას გადაეყარნენ.

— გზას ხომ ვერ მიგვასწავლით თქვენი ქალაქისაკენ? — მიმართა ბავშვებს გლებმა.

ნორჩები მცირე ხანს დუმდნენ, ცნობისმოყვარედ შესცქეროდნენ უცნობებს.

— გზას რა სწავლება უნდა? — დასცდა ერთს.

— ყოველი კაცი გზას თვითონ უნდა პოულობდეს, — მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა მეორემ.

კოსმონავტებს გულიანად გაეცინათ.

— ასე უმეთვალყუროდ რატომ დადიხართ? — ჰკითხა გივიმ.

— რაში გჭირდება ძიძაობა? — მიუგო პირველმა.

— გზა რომ დაგებნეთ?

— შეუძლებელია.

— რატომ?

— როცა მოვისურვებთ, უმალ შინ გავჩნდებით.

— მარტონი რომ დადიხართ ამ ტყეში, არაფრის გეშინიათ?

— გვეშინია? — ბავშვებს თითქოს პირველად ესმოდათ ეს სიტყვა.



— რა არის შიში? რაღაც არ გვესმის...

— ჰმ... ვთქვათ, გარეული მხეცი გამოჩნდეს...

—გამოჩნდეს, მერე რა? — თქვა მეორემ.

— შეიარაღებული ხართ, თუ?..

— რად გვინდა იარაღი! არავის არ შეუძლია რაიმე ზიანი მოგვაყენოს, ამიტომაც არ ვიცით, თუ რა არის რაღაც შიში.

— რა არანორმალურად მსჯელობენ ეს ეშმაკის კერძები, — ხმადაბლა გადაულაპარაკა გივიმ გლებს. — ხომ არ მივაგენით გამოცანის ახსნას? იქნებ ყველა აქაური გაგიჟდა...

დამხვდურები ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ კოსმონავტებს. ერთმა გივის ჩასჭიდა ხელი, მეორემ — გლებს და კოსმონავტებს უეცრად მოეჩვენათ, ქვესკნელმა პირი დააღო და თან ჩაგვიტანაო, თვალთ დაუბნელდათ. როცა თავბრუხვევამ გაუარათ, თვალებს არ დაუჯერეს: მოზრდილი ოთახის შუაგულში აღმოჩნდნენ. ეს რა დაატყდათ თავს? ისინი ხომ წამის წინ ტყეში იმყოფებოდნენ? როგორ მოხვდნენ შენობაში? მიმოიხედეს. გრძელ მაგიდას ოქროსფერ კომბინეზონებში გამოწყობილი ბავშვები შემოსხდომოდნენ და ახალმოსულებს თვალს არ აშორებდნენ. კოსმონავტები თავის სიცოცხლეში პირველად დაიბნენ. ერთი რამ კი ცხადზე უცხადესი იყო: ქსოვილი, რომლითაც შეკერილი იყო მასპინძელთა ტანსაცმელი, აშკარად დედამიწელთა ნახელავს არ ჰგავდა, თითქოს ცისარტყელას შვიდივე ფერის ნაპერწკლებს კვესავდა...

— გილ, თქვენი ბრძანება შესრულებულია. ორი უცხოგალაქტიკელი მფრინავი მოგგვარეთ! — უპატაჟა მაგიდის თავში მჯდომს გივის თანმხლებმა.

კოსმონავტებს მაინცდამაინც არ ეჭაშნიკათ სიტყვა „უცხოგალაქტიკელი“, რადგან ისედაც არაჩვეულებრივ ვითარებას ეს გამოთქმა კიდევ უფრო არარეალურ, მისტიკურ ელფერს ანიჭებდა.

გილი წამოდგა და ბულზე ხელებდაკრეფილმა იკითხა:

— რა მიზნით ჩამოფრინდით პლანეტაზე?

— სანამ გიპასუხებდეთ, იქნებ გვითხრათ, ვის ველაპარაკებით? — შეეხმიანა გივი.

— ანდრომედას ნისლეულის ძლევამოსილი ხალხის წარმომადგენლებს.

— სად არიან დედამიწელი კოლონისტები? მათი ნახვა გვსურს.

— ისინი შუაგულ ოკეანეში ერთერთ კუნძულზე მოვათავსეთ. თქვენც იქ გიკრავდით თავს, მაგრამ გადავწყვიტეთ უკანვე გაგიშვათ უვნებელნი. ოღონდ იმ პირობით, თუ ერთ მისიას შეასრულებთ: როცა სამშობლოში დაბრუნდებით, თქვენი სამყაროს მკვიდრთ უნდა გამოუცხადოთ, რომ სიტყვაშეუბრუნებლად დაგვნებდნენ, რადგან ჩვენთან ბრძოლა უიმედოა. აი, შეხედეთ! — გილმა ხელი აღმართა და კედელთან მიდგმული სკამები ჭერს გაეკრნენ. ამის შემდეგ გივის და გლებს აღარ გაჰკვირვებიათ, რომ მალე თვითონაც ჰაერში დაიწყეს ფრენა, მაგიდის გარშემო წრე შემოხაზეს. ანდრომედელმა ხელი გაიქნია და კოსმონავტები ნელა დაეშვნენ იატაკზე, სკამებმაც ძველი ადგილები დაიკავეს.

— ხომ ხედავთ, რა ძალა გვაქვს! — ხმას აუწია გილმა. — გადაეცით ეს ყოველივე თქვენებს, რათა ულაპარაკოდ დაგვმორჩილდნენ.

გივი და გლები კარგად მიხვდნენ, რომ ბედმა სხვა გალაქტიკის გონიერ არსებებს გადაჰყარა. ისიც ცხადად ჩანდა, რომ ისინი, ვინც მათ კოლონისტების შვილებად ჩათვალეს, სინამდვილეში ტანით იყვნენ მორჩილები, თორემ ასეულათასობით სინათლის წლის მანძილზე გამგზავრება მხოლოდ განვითარებული გონების მქონე, დასრულებული ასაკის ადამიანებს თუ შეეძლოთ გაებედათ.

— თანახმა ვართ, — მოულოდნელად გამოაცხადა გივიმ, — შევასრულოთ თქვენი განკარგულება. ახლავე ვარსკვლავმფრენში ჩავსხდებით და სამშობლოსკენ გავეშურებით, ქვეყანას ვამცნობთ, რომ ძლევამოსილ რასას თავისი უნდა მივუზღოთ. ფრიად სამწუხაროა ასეთი დამამცირებელი მისიის შესრულება, მაგრამ რა გაეწყობა, ძალა აღმართსა ხნავს.

გლები ამას სრულიად არ მოელოდა და გულში ეწყინა კიდეც, რომ კაპიტანმა სრული კაპიტულაცია აღიარა.

— ასე არ სჯობია? — მედიდურად წარმოსთქვა გილმა. — ოღონდ გაფრთხილებთ, არავითარი თაღლითობა არ გაბედოთ, თორემ იძულებული ვიქნებით მკაცრი ზომები მივიღოთ. კარგად დაიხსომეთ: ძვირად, ძალიან ძვირად დაგიჯდებათ ჩვენი მოტყუება!

კოსმონავტებმა საკმაო მანძილი ისე გაიარეს, ხმა არ ამოუღიათ. ჰორიზონტზე გამოჩნდა ცაში აზიდული ვარსკვლავმფრენის სილუეტი.

იქ მეგობრებს მოუთმენლად მოელოდა ჯონათანი.

— ეს რა ჩაიდინე, ძმაო, — საყ-

ვედურის კილოთი მიმართა გივის გლებმა. — ნუთუ მართლა ისე აგიტანა შიშმა, რომ ყველაფერზე დაეთანხმე იმ ჯუჯას... თუ ეს ტაქტიკური სვლაა?

— აქ რაღაც სხვა ამბავია! კარგად ვიცი მეცნიერთა აზრი ამ პრობლემაზე. საქმე ის არის, გლებ, რომ ჰომო საპიენსის ევოლუციის არცერთ მონაკვეთში პარაფსიქოლოგიურ ეფექტს რაიმე მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშნია. ადამიანის თავის ტვინის ყველა შესაძლებლობა ზედმიწევნითაა შესწავლილი და დადგენილია, რომ ტელეკინეზი, ტელეპატია თუ სხვა მსგავსი რამ ადამიანის რეალურ შესაძლებლობებს სცილდება... ხოლო ანდრომედელები დიდად არ განსხვავდებიან ჩვენგან. ეტყობა, სხვაგან უნდა ვეძიოთ ამ სასწაულის მიზეზი...

3

— გლებ, დადგა დრო, რომ წაგებული სანაძლეო გამინაღდო.

— კარგი ერთი... რა დროს ეგაა...

— მოგებულის სურვილი — კანონია. ასე არ არის?

— ვთქვათ, ასეა. რა ჩაიფიქრე?

— უნდა მოვიტაცოთ ერთი პიროვნება.

— რაო? ვერა, ძალადობაზე ვერ დაგთანხმდები.

— წაგებულ სანაძლეოს **რას** უშვრები?

— კი მაგრამ, რას მიაღწევ ამით?

— ყველაფერი ზუსტად მაქვს გაანგარიშებული. ახსნა-განმარტების დრო ახლა არ **არის**, მაგრამ საქმის სამართლიანობაში თვითონაც მალე დარწმუნდები და, ალბათ, მადლობასაც კი მეტყვი...

— ძალმომრეობისათვის — მადლობა? ძალზე ბევრი მოგინდომებია!

— ვფიქრობ, შემდეგ სულ სხვანაირად ილაპარაკებ. ახლა კი საქმეს შევუდგეთ.

გივი სკაფანდრზე დამაგრებულ ღილაკს თითით შეეხო.

— გისმენ, გივი, რა მოხდა? — გაისმა ჯონათანის ხმა.

— სასწრაფოდ გამოგვიგზავნე ავტომატური ყველგანმავალი. ვიძლევი რადიოპელენგს.

—ახლავე. მეც ხომ არ წამოვიდე?

— არავითარ შემთხვევაში. დაგველოდე. როგორც კი მახდ გავჩნდებით, სატვირთო ლიუკი გააღე და ყველგანმავალი შიგ შეუშვი. იქიდან ჩვენ თვითონ გამოვალთ, შენ ოღონდ გადასასვლელ კარებს ბლოკი ახსენი, რომ დაუბრკოლებლად შევაღწიოთ სამართავ დარბაზში.

— გასაგებია!

— ესეც ასე, — მიუბრუნდა გივი გლებს, — ახლა კი წავიდეთ ჯუჯებთან და მათი გაბღენძილი გილი ვარსკვლავმფრენში წავაბრძანოთ.

— როგორ აპირებ ჩანაფიქრის შესრულებას?

— სრულიად უბრალოდ: შევდგამ თუ არა ფეხს ანდრომედელებთან, ამ სათამაშოს ამოვიღებ, — გივიმ ბიოგამომსხივებლის ტარი გამოაჩინა ჯიბიდან. — ვიდრე ქონდრისკაცები ფსიქოლოგიურ შეტევას დაიწყებენ, მე თითს დავაჭერ, სადაც საჭიროა, და გნომები ერთსაათიან მსუბუქ დამბლას მიიღებენ. ამასობაში კი არხეინად მოვაგვარებთ ჩვენს საქმეს...

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გივის ჰქონდა მოსაზრებული. როგორც კი იგი ბიოგამომსხივებლით ხელში გილთან შეეარდა, სადაც მისი თანამზრახველებიც იმყოფებოდნენ, ერთ წამში ყველა მუმიას დაემსგავსა და იატაკზე გაიშოტა. გივიმ და გლებმა ხელი სტაცეს გილს და გარეთ გამოვიდ**ნენ**. სულ მალე ყველგანმავალიც **გამოჩნდ**ა, რომელიც გივის ნიშანზე **გაჩერდ**ა.

4

სავარძელზე გადაწოლილი გილი ნელა მოეგო გონს. სამი კოსმონავტი მოთმინებით უცდიდა. ვიდრე ანდრომედელი საბოლოოდ დააღწევდა თავს შოკს. აი, მან თვალები გაახილა და ოდნავ წამოიწია.

— სადა ვარ? — აკანკალებული ხმით იკითხა და მიმოიხედა.

— ჩვენს ვარსკვლავმფრენში. უკვე კოსმოსშიაც გავედით. — უპასუხა გივიმ.

— როგორ გაბედეთ! თქვენ ხომ ჰუმანოიდები ხართ! ჩემი დატყვევების მორალური უფლება არ გქონდათ!

— ხედავთ, მორალზედაც რომ ამოიდგა ენა? იქნებ ისიც მორალური, რომ ჩვენს თანამოძმე ავრორელ კოლონისტებს თავისუფლება წაართვით?

გილი წამოჯდა. წერტილივით დაპატარავებულ თვალებში დაბნეულობა ჩასდგომოდა. მცირე ხნის შემდეგ ჯიუტად თქვა:

— ჩემს ხალხს პარაფსიქოლოგიური ძალა აქვს, რაც უნიკალურია მთელ სამყაროში. მალე ჩვენ თქვენი გალაქტიკის ბატონ-პატრონნი, ყველა გონიერ არსებათა მბრძანებელნი გავხდებით. ჩემი მოტაცებით საქმის ვითარებას ვერ შეცვლით. მოკლე ხანში აქ ანდრომედელთა ესკადრები გაჩნდებიან და ამ სამყაროს კოლონიზაციას დავიწყებთ.

— გმადლობ გულახდილობისათვის. მაგასაც ვნახავთ, როგორ ასრულებთ საწადელს. ერთ კითხვაზე მიპასუხე კიდევ, ოღონდ იცოდე, არაფერი მიკიბ-მოკიბო, თორემ... — და გივიმ გოლიათური მუშტი გილის პაჭუა ცხვირთან მიიტანა. ანდრომედელმა უკან დაიწია. — გქონდათ თუ არა ადრე, სანამ ავრორაზე გამოჩნდებოდით, პარაფსიქოლოგიური ძალა, თუ იგი იქ შეიძინეთ?

გილი დუმდა.

— აბა, ახლა სცადე. გააკეთე რამე პარაფსიქოლოგიური ფოკუსი. ხედავ ჩემს მუშტს? იქნებ მოახერხო, რომ მე თვითონ მივირტყა ცხვირში... რაო, არაფერი გამოგდის? ვერ ხვდები, რატომ? მაშინ გეტყვი: იმიტომ, რომ ავრორაზე მოფრენამდე ანდრომედელებს პარაფსიქოლოგიაზე საერთოდ არავითარი წარმოდგენა არ გქონდათ, ხოლო რატომ გაგივითარდათ არაჩვეულებრივი თვისებები, ამაზე არც კი დაფიქრებულხართ. კარგად ჩაიბეჭდე მაგ გოგრაში — პარაფსიქოლოგიური ეფექტი მხოლოდ აქაური მზის გამოსხივების ბრალია. მისი სისტემის გარეთ ისეთივე უმწეონი იქნებით, როგორც ავრორაზე მოფრენამდე იყავით. ასე რომ, თქვენს მიერ ჩვენი გალაქტიკის დაპყრობა ფუჭი ოცნებაა. ახლა კი დაწვრილებით მოგვიყევი ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიცოცხლეს შემინარჩუნებთ?

— უყურე ახლა ამ გლახაკს, რა სისულელეს ჩმახავს, — ვეღარ მოითმინა ჯონათანმაც, რომლის წონასწორობიდან გამოყვანა არც ისე ადვილი იყო.

გილს სახეზე თითქოს შავმა ღრუბელმა გადაუარაო. შეძრწუნებულმა თავი ხელებში ჩარგო. კოსმონავტებს ამის დანახვაზე გაეცინათ.

— რას ნიშნავს, მოვლენებს რომ მხოლოდ შენი კვარცხლბეკიდან უყურებ!.. ის კვარცხლბეკი მხოლოდ ერთი ციდაა და იქიდან ბევრს ვერაფერს დაინახავ, გილ! — უთხრა გლებმა.

— მაშ, არ მომკლავთ?

— არა-მეთქი, აკი გეუბნებით. ვის რაში სჭირდება შენი სიკვდილი. ბოლოს და ბოლოს, ამოიდგამ თუ არა ენას? — ხმას აუწია გივიმ. — ოღონდ გაფრთხილებ, არაფერი დამალო.

როდესაც გილი დარწმუნდა, რომ საფრთხე არ ემუქრებოდა, ცოტა დაწყნარდა. ბოლოს ჩაახველა და მღელვარებისაგან ჩახლეჩილი ხმით დაიწყო:

— დაახლოებით ერთი წლის წინ მოვფრინდით ავრორაზე ჩვენი გალაქტიკიდან, რომელსაც თქვენ ანდრომედას ნისლეულს უწოდებთ. ადგილობრივ მცხოვრებლებს მალე დავუახლოვდით და ბევრი რამ გავიგეთ დედამიწელთა ცივილიზაციაზე. მალე, სრულიად მოულოდნელად, აღმოვაჩინეთ, რომ შეგვეძლო გონების ძალით საგნების გადაადგილება, ადამიანის აზრების წაკითხვა და მრავალი სხვა რამ...

— ასეთი თვისებები ავრორას მკვიდრთ თუ ჰქონდათ? — ჰკითხა გივიმ.

— არა. სიმართლე მოგახსენოთ, ახლაც არ ვიცით, რატომ მოხდა, რომ ავრორელები ჩვენსავით არ იყვნენ დაჯილდოებულნი ამ საოცარი უნარით.

— რა რთული პრობლემა ეს არის? ნუთუ ვერ მიხვდით, რომ აქაური მზის სპექტრი განსაკუთრებულ ეფექტს იწვევდა მხოლოდ თქვენზე ზემოქმედებისას. ეტყობა, ანდრომედელთა ორგანიზმში არსებობს რაღაც განსაკუთრებული ნივთიერებანი, შესაძლოა, დედამიწელთაგან განსხვავებული მოლეკულური სტრუქტურები და მათი კომბინაციები, რომლებიც კობალტის მზის სხივების ზეგავლენით აღიგზნებიან და თავის ტვინს განსაკუთრებული სახის ფსიქოენერგიას შესძენენ. თავის ტვინი კი მძლავრი გენერატორის როლს ასრულებს და დაგროვებულ კოლოსალურ ენერგიას საჭირო მიმართულებით წარმართავს. მართალია,

ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიაზე საკმაოდ ზერელე წარმოდგენა მაქვს და ამის გამო ამ ფენომენის ასეთი ინტერპრეტაცია ალბათ სავსებით კომპეტენტურად ვერ ჩაითვლება, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ამით აიხსნება, თქვენსავით რატომ არ გამოუმუშავდათ დედამიწელებს პარაფსიქოლოგიური თვისებები.

— რატომღაც თავში არ მოგვსვლია ასეთი აზრი.

— აბა, ამის საფიქრებლად საიდან მოიცლიდით, როცა სამყაროს დაპყრობის იდეამ ჭკუაზე შეგაცდინათ, — დამცინავი ღიმილით წარმოთქვა ჯონათანმა.

— გილ, ნუთუ ასეთი მადა აღგიძრათ ავრორას მზემ? — ჰკითხა გლებმა.

ანდრომედელი თავდახრილი იდგა.

— მომისმინეთ, მინდა რაღაც გითხრათ კიდევ, რაც ჩვენს შორის ყოველგვარ გაუგებრობას გააქარწყლებს... — დაიწყო თავის მართლება გილმა.

გივი ოძელმა მას აღარ აცალა. სამართავ პულტზე რაღაც სახელურები გადასწია და ტყვეს გამოუცხადა:

— ერთადგილიანი რაკეტა სასტარტოდაა გამზადებული. მისი ავტომატური მართვა ისეა დაპროგრამებული, რომ უვნებლად დაგსვამს ავრორაზე. სასწრაფოდ გაათავისუფლეთ ტყვეები, აიკიდეთ გუდა-ნაბადი და გაეცალეთ ჩვენს გალაქტიკას. ანდრომედას ნისლეულიდან აღარ გაბედოთ ცხვირის გამოყოფა ირმის ნახტომის სიახლოვეს. მართალია, ჩვენ ჰუმანოიდები ვართ, მაგრამ ვაი მას, ვინც მოთმინებიდან გამოგვიყვანს...

გივის ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული ჭკუისასწავლებელი შეგონება, რომ უეცრად ვანგაშის ხმა გაისმა. სამივე კოსმონავტმა რადარის ეკრანს შეხედა, რომლის ცენტრში თეთრი წერტილი კიაფობდა.

— კოსმოსური ხომალდი გვიახლოვდება, — თქვა გივიმ. — ვინ უნდა იყოს? დანამდვილებით ვიცი, რომ კოსმოსის ამ სექტორში ჩვენს გარდა არავინ არ უნდა იმყოფებოდეს.

— ასტეროიდი ხომ არაა? — გამოთქვა ვარაუდი ჯონათანმა.

— ახლავე შევამოწმებ. — გივი რთულ გამოანგარიშებას შეუდგა. თან წამდაუწუმ ციფერბლატებს შეჰყურებდა.

— ნამდვილად ვარსკვლავმფრენია, თანაც პირდაპირ ჩვენს ტრასაზე. ოჰო, სისწრაფესაც ანელებს! ეტყობა, შეგვამჩნიეს.

— შენც დაამუხრუჭე, — უთხრა გლებმა.

— ახლავე. გილის გამგზავრება მცირე ხნით გადავდოთ.

გავიდა ხუთიოდე საათი. ორივე ხომალდი რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით ერთმანეთის პირდაპირ გაჩერდა. გივიმ ორმხრივი ვიდეოფონური კავშირის აპარატი ჩართო. ეკრანზე გამოჩნდა უცხო ვარსკვლავმფრენის სამართავი კაბინა. გილი, რომელიც კოსმონავტების გვერდით იჯდა, ადგილიდან მოწყდა და სავარძლის ქვეშ შეძვრა. ყველა სახტად დარჩა, მაგრამ მიზეზის გამოძიების დრო არ იყო — ეკრანიდან ახოვანი მამაკაცი იმზირებოდა, რომელიც ტანადობით ალბათ ჯონათან რიდსაც არ ჩამოუვარდებოდა. ჯონათანი კი თავის მეგობრებზე ერთი თავით მაღალი იყო.

— ბოდიშს ვიხდი, — თქვა უცნობმა, — ხომალდი გაგაჩერებინეთ. გაგარინიდან მოვფრინავ ფრიად საშურ საქმეზე. კაპიტანი რომელი ბრძანდებით?

გივი წამოდგა.

— ფრიად სასიამოვნოა, გივი ოძელო, თქვენი გაცნობა. მე გაიუნი გახლავართ... ესენი, ალბათ, გლებ ტოლსკი და ჯონათან რიდი არიან...

ჯონათანი და გლებიც მიესალმნენ უცხო კოსმონავტს.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, — განაგრძო გაიუნმა. — მიიღეთ სალამი თქვენი ანდრომედელი კოლეგისაგან.

დედამიწელთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— როგორ თუ ანდრომედელი? — ძლივს ამოიღო ხმა გივი ოძელმა. თქვენი თანამემამულენი ხომ ჯუჯები არიან?

გაიუნს სახე გაუბრწყინდა.

— მაშ ნახეთ ის საძაგლები? ასეც ვიცოდი, რომ ნამდვილად მიაგნებდით. ტყუილად როდი მარწმუნებდა ჩან დონი, რომ სამივენი საოცრად იღბლიანები ხართ. კიდევ კარგი, რომ ერთი წლის ძებნა წყალში არ ჩაგვეყარა. სად არიან?

— აქვე ახლოს. მიგასწავლით კოორდინატებს. თუ თქვენ ანდრომედელი ბრძანდებით, მაშ, ისინი ვილა არიან?

— ჩვენი ბავშვები გახლავთ.

—ბავშვები? მათ კი ისე ველაპარაკებოდით, როგორც მოზრდილებს. ვაი. სირცხვილო. რა ოსტატურად გაგვაცურეს იმ ოხავრებმა! მაინც როგორ მოხდა, რომ პატარებმა აქ ამოიპყვეს თავი?

— უბრალოდ. ვარსკვლავმფრენი მოიპარეს. სათავგადასავლო ლიტერატურის კითხვამ თავგზა აუბნიათ და, როგორც მათი დატოვებული პარათიდან შევიტყვეთ, კოსმოსში, ხეტიალი განუზრახავთ. მაგრამ სად წაგვიდოდნენ! ერთი წელია, კვალდაკვალ მივყვებით. მათ ძებნაში თქვენი თანამემამულენიც გავიცანით, აკი ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მალე ანდრომედას ნისლეულისა და ირმის ნახტომის გალაქტიკებს შორის რეგულარული მისვლა-მოსვლა დაიწყება.

— საკვირველია, ამ ციცქნა ბალღებმა როგორ შეძლეს, გადაელახათ წარმოუდგენლად გრანდიოზული სივრცე და უვნებლად მოეღწიათ აქაურ პლანეტათა სისტემამდე? — დაინტერესდა გივი.

— თუმცა ჩვენს ორ სამყაროში, მე მგონია, ამაზე უფრო ცელქი ბავშვები ძნელად თუ სადმე მოიძებნებიან, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას მათ განსაკუთრებულ ნიჭზე — ტყუილად როდი სწავლობენ ისინი ჩვენი პლანეტის გენიოს ბავშვთა სკოლაში. როგორც ეტყობა, გაქცევისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. უფროსებისგან დაფარულად თვითონვე დაუფლებიან, როგორც ხომალდის მართვას, ისე კოსმოსურ ნავიგაციასაც. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენზე ნაკლებად როდი ემორჩილებათ ვარსკვლავმფრენი. ამ მხრივ შიში სრულიად არ გვქონია. გვაფიქრებდა მხოლოდ აქციის მორალური მხარე... რატომ უნდა მომხდარიყო, რომ სათავგადასავლო წიგნების გავლენით ნორჩები გზას ასცდენოდნენ და ფათერაკის მაძიებლები გამხდარიყვნენ? უეჭველად გენიოს ბავშვთა სკოლის აღსაზრდელებისადმი განსაკუთრებული ზედამხედველობაა საჭირო, რათა ასეთი რამ აღარ განმეორდეს. თქვენ წარმოიდგინეთ, თითოეულმა გაქცეულმა თავისი საყვარელი გმირის სახელი შეირქვა. მათ შორის... ფრიად კი მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ვერ დაგმალავთ, ჩემმა ვაჟმაც...

— ისიც მათთანაა? — შეაწყვეტინა გლებმა.

— მათთანო? ეგ კიდევ არაფერი: მათი მეთაურია. ჰოდა, ჩემმა შვილმა ერთ-ერთი გახმაურებული ავანტურისტული რომანის მთავარი გმირის სახელი — გილი შეირქვა.

— მაშ, გილი თქვენი კაჟია? ჰკითხა გივიმ.

— დიახ. უკვე მოასწარით გასცნობოდით იმ თავზეხელაღებულს?

— საკმაოდ ახლოს. მართლა, კო-



ლეგა გაიუნ. რას უპირებთ ბავშვებს, როდესაც მათ გზა-კვალს მიგასწავლით?

— მივგვრით მშობლებს და სხვა არაფერი. ბითოეული მათგანი კი, ალბათ, თავისი სურვილისამებრ გაუმასპინძლდება პირმშოს.

— რა სასჯელი მოელის გილს?

გაიუნი მიუახლოვდა მაგიდას და უჯრიდან რაღაც მათრახის მსგავსი ელასტური ნივთი ამოიღო, ხელში შეათამაშა.

— მართალია, ფიზიკური დასჯა ჩვენთან უხსოვარი დროიდან აღარ ითვლება აღზრდის საშუალებად, მაგრამ მომავალ თაობათა ჭკუის სასწავლებლად, მსგავსი სისულელე შემდგომ რომ აღარ ჩაიდინონ, ერთი მაგრად ავუჭრელებ ზურგს და ზოგიერთ ადგილს.

სავარძლის ქვეშიდან გაბმული ტირილი მოისმა. სანამ გაიუნი კაპიტანთან საუბრობდა, ჯონათანმა ამით ისარგებლა, დაიხარა და გილს ჩასჩურჩულა:

— ახლავე გაჩუმდი, სულ ერთიანად ნუ დაჭკარგე ვაჟკაცობა! იქნებ გიშველოს რამემ.

გილმა ზლუქუნი შეწყვიტა, მხოლოდ ხანდახან თუ წამოასლოკინებდა ხოლმე. მამამისს არაფერი შეუმჩნევია.

— კოლეგა გაიუნ, — მიმართა ანდრომედელს ჯონათანმა, — რამდენჯერ აპირებთ ბიჭს შემოჰკრათ ცოდვების მოსანანიებლად?

— ვთქვათ, თხუთმეტჯერ. თქვენთვის რა, განა სულ ერთი არ არის? რაში გაინტერესებთ?

— შეუმცირებთ ხუთ დარტყმას, თუ მასზე ისეთ რამეს გეტყვით, რომლის მსგავსი მთელს ჩვენს ორ გალაქტიკასაც კი არ სმენია?

— კეთილი. მიჩუქნია ხუთი დარტყმა. ისეთი რა უნდა მითხრათ?

— გილმა აღმოაჩინა პარაფსიქოლოგიური ეფექტი.

— არ მესმის, რის თქმა გინდათ ამით?

— იმის, რომ გონების ძალით გილს შეუძლია ფიზიკური ობიექტების გადაადგილება, შეუძლია ელვის სისწრაფით გაჩნდეს იქ, სადაც მოისურვებს, შეუძლია რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე ადამიანის აზრების წაკითხვა და კიდევ სხვა მრავალი ჯადოსნური რამ.

— მეხუმრებით თუ მართალია ეს ყველაფერი?

— მართალი გახლავთ. აი, ჩახვალთ პლანეტა ავრორაზე და თვითონვე დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სინამდვილეში.

— აქვე მახლობლად კობალტის მზე რომ მოჩანს, მისი პლანეტაა ავრორა?

— დიახ.

— ასეთი უცნაური სპექტრის ვარსკვლავი ჩემს მშობლიურ გალაქტიკაში არ შემხვედრია... ჩათვალეთ, რომ ხუთი დარტყმა მოაკლდება გილს.

— კოლეგა გაიუნ! — წამოიძახა გლებ ტოლსკიმ. — მეც მაჩუქებთ ხუთ დარტყმას, თუ შვილზე ისეთ რამეს გიამბობთ, რაც უთუოდ გაგახარებთ?

— ყურადღებით გისმენთ.

— გილმა თავისი საქციელით, ზრდილობით, ტაქტით, ჰუმანურობით ყველა დედამიწელის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

გაიუნი უხერხულად შეიშმუშნა. ასეა თუ ისე, იგი მამა იყო, შვილის ქება კი, მოგეხსენებათ, ყველა მშობელს ესიამოვნება, თუნდაც იგი გადაკარგული ანდრომედას ნისლეულიდან იყოს.

— მიპატიებია ბიჭისათვის კიდევ ხუთი დარტყმა...

გივი ოძელმაც არ დააყოვნა თხოვნა:

— დარჩა ბოლო ხუთი დარტყმა. ააშორებთ მას გილს, თუ მეც დავუმატებ რაღაცას?

— ბრძანეთ!

— თქვენმა ვაჟმა თავისი ასაკისთვის გასაოცარი გამჭრიახობა, ამასთანავე დიდი ვაჟკაცობა და შეუდრეკლობა გამოამჟღავნა. პირადად მეც ნამდვილად ვიამაყებდი, ასეთი მტკიცე ნებისყოფის შვილი რომ მყოლოდა.

— ერთი წელია, რაც მის გატყეპვაზე ვოცნებობდი და გარწმუნებთ, თავის ულუფას მთელი სისრულით მიიღებდა, ახლა კი რაღა გაეწყობა, უნდა შეველიო ამ უკანასკნელ ხუთ დარტყმასაც, მით უმეტეს, რომ ამას თვით კაპიტანი მთხოვს.

როდესაც გილის თავზე დატეხილმა ქარიშხალმა ჩაიარა, იგი ნელ-ნელა გამოჩოჩდა სავარძლიდან და წელში გაიმართა. მამამისმა მყისვე შეამჩნია შვილი.

— რაო, კოსმოსელო მოხეტიალევ, დამთავრდა შენი თარეში დროსა და სივრცეში? ამ კეთილშობილ ადამიანებს უმადლოდე, თორემ დანაპირები ჭეშმარიტად არ აგცდებოდა. ხომ იცი, ხუმრობა არ მიყვარს!

— მესმის, მამა. უკვე გულწრფელად მოვინანიე შეცდომა! — და გილმა კოსმონავტებს გადახედა.

— კაპიტანო, — თქვა გაიუნმა. — ახლავე მანდ გავჩნდები პატარა რაკეტით. ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენთან ვერ შემოვალ, ბევრი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, ავრორაზე დარჩენილებსაც ხომ უნდა მივხედო.

— როგორც ინებებთ, კოლეგავ, — მიუგო გივიმ. — ბიჭს სკაფანდრს ჩავაცმევთ და როდესაც ჩვენი ვარსკვლავმფრენის ლიუკთან გაჩნდებით, საკუთარ ხელში ჩაგაბარებთ.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, მეგობრებო. სიტყვები არ მყოფნის, რომ გამოვხატო ჩემი უღრმესი პატივისცემა თქვენდამი და გაგარინელებისადმი, რომლებმაც ფასდაუდებელი სამსახური გამიწიეს ამ ცელქების მოძებნაში. ნახვამდის, კოლეგებო.

როდესაც ვიდეოფონი გაითიშა, გივი ნორჩ ანდრომედელს მიუბრუნდა:

— ერთი მითხარი, გილ, რას თამაშობდით?

— მეკობრეობანას.

— დალოცვილებო, გართობისთვის თქვენი პლანეტა, თუნდაც ანდრომედას ნისლეული არ გეყოფოდათ, რომ ირმის ნახტომში არ აგეტეხათ აყალ-მაყალი?

— ბოდიშს ვიხდი, კაპიტანო, მეტს აღარ ვიზამთ.

— ოღონდაც. სხვა ვინღა დაგიხსნის მამაშენის მათრახისაგან?

დარცხვენილი გილი ხელებს იფშვნეტდა.

— შეიძლება ერთი რამ ამიხსნათ?

— გაურკვეველი მგონი არაფერი უნდა დარჩენილიყო. მაინც რა გაინტერესებს?

— პირველი ხუთი დარტყმის პატიება გასაგებია, პარაფსიქოლოგიურ ეფექტს პირველად მართლაც მე მივაგენი, მაგრამ დანარჩენი ათი ხომ ნამდვილად მეკუთვნოდა? საქებარი ხომ არაფერი გამიკეთებია სიცელქის გარდა, რაც მთავარია, არც ისეთ გმირად გამოვიყურებოდი, როგორც სამივემ მამაჩემთან დამხატეთ! რატომ გააკეთეთ ეს? მე ხომ უსიამოვნების მეტი არაფერი მომიტანია დედამიწელებისათვის?

— მაგ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა ერთობ ძნელია. რაკი სამივემ ერთდროულად, წინასწარი მოლაპარაკების გარეშე განვიზრახეთ შენი დაცვა, ჩანს, ჩვენი ნაბიჯი მა-

რთებულია. ჩვენ გვინდა, რომ გაცილებით უკეთესი გახდე. ვიდრე სინამდვილეში ხარ. თანაც იმედი გვაქვს, რომ დათესილი სიკეთე კარგ ნაყოფს გამოიღებს. გვჯერა, რომ შემდგომში შენი ქცევით, კაცურკაცობით გაამართლებ ჩვენს ნდობას.

— გმადლობთ, კაპიტანო. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო გაკვეთილი იყო. მისი ძალა გაცილებით აღემატება მამაჩემის ძათრახის სუსხს.

როდესაც გილი მამამისს მიჰგვარეს და უკან დაბრუნდნენ, გლებმა გივის ეთხრა:

— ხომ გაგინაღდე სანაძლეო? ახლა შენი არაფერი მმართებს.

— რა თქმა უნდა, მაგრამ სად გაქრა ჯონათანი?

— ვის გავახსენდი? — კარი გაიღო და ასტროფიზიკოსი შემოვიდა. თავზე მუზარადი ჰქონდა ჩამოფხატული.

—რა დროს შენი ცელქობაა, პატარა ხომ არა ხარ.

— ეგებ ამასაც გილის ავადმყოფობა გადაედო?

ჯონათანს ხმა არ ამოუღია. ჩუმად მიუჯდა მაგიდას. უცებ კარადა თავისით გაიღო, ანანასით გაწყობილი სამი ლამბაქი გამოფრინდა და მაგიდაზე რბილად დაეშვა. ასტროფიზიკოსმა მუზარადი მოიხადა და მეგობრებს უთხრა:

— შეევექცეთ ხილს, რომლის ჭამაც გაგარინზე შეგვაწყვეტინეს. ეს კი, უბრალოდ, ტელეკინეზის სეანსი იყო. სანამ თქვენ გილს ისტუმრებდით, ერთი პატარა ხელსაწყო დავამონტაჟე სათადარიგო სკაფანდრის მუზარადში. როცა მას თავზე ჩამოვიცვამ, ავტორის მზის სპექტრის მსგავსი სხივები ათჯერ უფრო ძლიერად მოქმედებს ორგანიზმზე. ეს კი საკმაოდ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ანდრომედელთა მსგავსად პარაფსიქოლოგიური სიძლიერე შემეძინა. გგარინზე რომ ჩავფრინდებით, ამ მუზარადს ერთ-ერთ საბავშვო ბაღს ვაჩუქებ.

— ყოჩაღ ჯონათან, მაგ მუზარადის სახით მართლაც რომ უნიკალურ სათაამშოს ჩავიტანთ სამშობლოში! — შეაქო გლებ ტოლსკიმ.

— მართლაც, რას ვიხარებენ ბავშვები! — დაუმატა გივი ოძელმა.

ჯონათან რიდმა მოფერებით გადაუსვა ხელი მუზარადს და სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაუარა:

— დიდხანს ვფიქრობდი, რა პრაქტიკული გამოყენება უნდა მოგვეძებნა პარაფსიქოლოგიური ეფექტისთვის და, როგორც იქნა, მივაგენით...

რას გვირჩევს სპორტული ექიმი

ბევრ ყმაწვილს ჰგონია, თითქოს თამბაქოს წევა ვაჟკაცურ იერსა და გარეგნობას აძლევდეს და პირში გაჩრილი სიგარეტი ეამაყება კიდეც. მაგრამ ეს ყმაწვილები სასტიკად ტყუვდებიან. სიგარეტს მოზარდის ორგანიზმისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ სპორტი და თამბაქოს წევა შეუთავსებელი ცნებებია.

●

რეგულარულად მიირთვით ხილი და მწვანილი. ვიტამინების ნაკლებობა საფრთხეს შეუქმნის თქვენს ჯანმრთელობას და დაგიქვეითებთ შრომისუნარიანობას.

●

ვარჯიშამდე ორი-ორნახევარი საათით ადრე ჭამეთ. ნაჭამზე ორგანიზმი საკვებს ამუშავებს და ვარჯიში გაგიძნელდებათ.

●

ვარჯიშის წინ ბევრ სითხეს ნუ დალევთ. იგი ხელს შეგიშლით მოძრაობაში და სისწრაფეს დაგიკარგავთ.

●

ეცადეთ, საღამოობით დასაძინებლად ადრე დაწვეთ. კარგი სპორტული ფორმის მისაღწევად აუცილებელია დღე-ღამეში 8-10 საათი ძილი.

●

ვარჯიშის დროს იყავით ფრთხილად, ერიდეთ ტრავმებს. რთული მოძრაობები და ვარჯიშები მხოლოდ მწვრთნელის ან ფიზკულტურის მასწავლებლის მეთვალყურეობით შეასრულეთ.

სპორტი და სასკოლო საგნები

— რა მნიშვნელობა აქვს სპორტისათვის სასკოლო საგნებს? — ამ კითხვაზე ალბათ ბევრ მოსწავლეს გაუჭირდება ამომწურავი პასუხის გაცემა. არა და, სპორტსმენისათვის ყოველ სასკოლო საგანს დიდი მნიშვნელობა აქვს. განვიხილოთ თუნდაც ზოგიერთი მათგანი.

მშობლიური, რუსული და უცხოური ენები. ენა აზრთა [illegible] გამოცვლის საშუალებაა. ამიტომ ენების შესწავლა ძალიან საჭირო. რუსული და უცხო ენების ცოდნა გამოგადგებათ, რომ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების დროს სხვადასხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან ჩამოსულ სპორტსმენებს დაუმეგობრდეთ და გამოცდილება გაუზიაროთ.

ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა გასწავლით, თუ ისტორიული განვითარების რა გზა განვლო ამა თუ იმ ერმა და ქვეყანამ. ამ საგნების მეშვეობით გაეცნობით საერთაშორისო სპორტულ მოძრაობას, ფიზკულტურისა და სპორტის ისტორიას.

გეოგრაფია ნათელ წარმოდგენას იძლევა სხვადასხვა ქვეყნების ფიზიკურ და ეკონომიკურ პირობებზე, მდგომარეობაზე. ამიტომ სპორტსმენისათვის ამ საგნის ცოდნა აუცილებელია. აბა რა იქნება იმაზე სამარცხვინო, უცხო ქვეყანაში ჩახვიდეთ და მის შესახებ არაფერი იცოდეთ?

მათემატიკა. სპორტში სულ უფრო ხშირად იყენებენ მათემატიკურ და სტატისტიკურ მეთოდებს. ყოველ სპორტსმენს თავის მწვრთნელთან ერთად უნდა შეეძლოს გამოთვალოს საწვრთნელი დატვირთვა, წაიკითხოს და შეავსოს სათანადო ცხრილები და დიაგრამები.

ფიზიკა. აუცილებელია კარგად იცოდეთ მოძრაობის ბიომექანიკური კანონები, რათა ისინი სპორტული ოსტატობის დასახვეწად გამოიყენოთ.

ბიოლოგია. ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური კანონების ცოდნა გაგიადვილებთ თვითკონტროლს და ექიმის მითითებათა ზუსტად შესრულებას.

ხატვა. თუ შეგიძლიათ სივრცეში საგნის ამა თუ იმ მდგომარეობის ან მოძრაობის წარმოდგენა, ეს უთუოდ დაგეხმარებათ სპორტული ტექნიკის კიდევ მეტად დახვეწაში.

მუსიკა. სპორტის ისეთი სახეობები, როგორიც არის მხატვრული ტანვარჯიში, ფიგურული ციგურაობა, ქართული ჭიდაობა უმუსიკოდ წარმოუდგენელია. მუსიკის აკომპანიმენტით ტარდება სპორტული აღლუმები და დაჯილდოების ცერემონიალები. ძველ ოლიმპოში ბადროს და შუბის ტყორცნაც კი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა.

მოამზადა ოთარ კუსიანმა

პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ნათელა ფაილოძე

მარჯვენაფლანგელი

ჩვენი კლუბის სტუმარია გაგრის რაიონის სოფელ კოლხიდის საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ზურაგ გოგია.

— გაგრის რაიონის სკოლების წარმომადგენლები ხშირად ვიკრიბებით პიონერთა და მოსწავლეთა სახლში, პიონერული აქტივისათვის აქ ხშირად ტარდება საინტერესო საუბრები. გვასწავლიან, თუ როგორ გავართვათ თავი ისეთ სერიოზულ პიონერულ დავალებას, როგორიც არის რაზმეულისა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეობა.

როგორ ვართმევთ თავს ამ მოვალეობას? — მხოლოდ ჩვენი სკოლის პიონერხელმძღვანელის — ბაბილინა ხვადაგიანის დახმარებით. ის მუდამ მზად არის პასუხი გასცეს ჩვენს კითხვებს: „როგორ“, „რატომ“, „რისთვის“?

ამ რამდენიმე წლის წინ მოსკოვში უფროს პიონერხელმძღვანელთა საკავშირო შეკრება ჩატარებულა. იმ შეკრებას თურმე ლ. ი. ბრეჟნევი მიესალმა და მის მონაწილე უფროს პიონერხელმძღვანელებს პიონერთა კომისრები უწოდა.

სოფელ კოლხიდაში ჩვენი სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელსაც ასე ეძახიან.

რაზმეულის საბჭოს შეკრებაზე მუდამ ხალისით ვიკრიბებით, აქ გულახდილი საუბარი იმართება ხოლმე. პიონერული აქტივი ბაბილინა ხელმძღვანელს ყველა გასაჭირს უზიარებს.

...კოლხიდის საშუალო სკოლის რაზმეული ჩვენივე თანასოფლელის, საბჭოთა კავშირის გმირის გერმანე კილასონიას სახელობისაა; გმირი, სანამ ცოცხალი იყო, სკოლაში ხშირად მოდიოდა. ბაბილინა ხელმძღვანელმა სკოლის რამდენიმე პიონერულ თაობას შეასწავლა მისი ცხოვრება.

პიონერთა ოთახში უამრავ ალბომს შორის მისი ცხოვრების ამსახველი მასალებიც ინახება. აქ რაზმეულის ყველა თაობის სახსოვარს შეხვდებით, ეს არის სკოლის პიონერთა მიერ წლების მიხედვით გაკეთებული ჩანაწერები და დღიურები.

— ეს რაზმეულის თავისებური ისტორიაა, — აგვიხსნა ბაბილინა ხელმძღვანელმა. — ვცდილობთ ჩვენი პერიოდიც საინტერესო და სასარგებლო საქმეებით აღინიშნოს.

მთელი რაზმეულის მუშაობა პიონერთა საკავშირო მარშის მარშრუტების მიხედვით არის აგებული. მესამე ეტაპის სტარტი 1979 წლის 23 იანვარს, პიონერთა ორგანიზაციისათვის ბელადის სახელის მინიჭების დღეს ავიღეთ.

იმ დღიდან ბევრი რამ გაკეთდა.

ბაბილინა ხელმძღვანელმა გავაცნო ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღნიშვნის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დადგენილებაც.

პიონერული მარშის ორი ეტაპი ჩვენი რაზმეულის პიონერებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს, რისთვისაც გაგრის, პიონერთა საქალაქო საბჭომ კოლხიდის საშუალო სკოლის რაზმეულს მარჯვენაფლანგელის სახელი მიანიჭა.

ზურაგ გოგია

რაზმებსა და რგოლებში მთელი მუშაობა პიონერული მარშის მარშრუტების მიხედვით მიმდინარეობს. პიონერულ აქტივს ბაბილინა ხელმძღვანელთან ერთად მხარში უდგანან სკოლის კომკავშირელები, ჩვენი რაზმის ხელმძღვანელები — ელენე ხურცილავა, მანანა ჩხენკელი, ნატო ხარებავა და ნინო რამიშვილი.

შევხვდით ჩვენი სკოლის პირველ პიონერებს; აღსანიშნავია, რომ ისინი, თითქმის ყველანი, დიდი სამამულო ომის მონაწილენი არიან. ბევრი მათგანი არ გვივიწყებს და ხშირად მოდის ჩვენთან, მათ შორის — ლუბა მეფარიშვილი, თამარ ჯიბლაძე, თამარ ჭელიძე, მარიამ ჯიქია, მცირემიწელები — ვერა ხარბედია და ლუბა ხურციძე.

ჩვენ ბევრს ვმოგზაურობთ, შემოვლილი გვაქვს მთელი რაიონი. ვიყავით მცირე მიწაზეც, ბაბილინა ხელმძღვანელმა წაგვიყვანა. ჩვენთვის საინტერესო იყო იმ ადგილების ნახვა, სადაც ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლეები — ვერა ხარბედია, ჭიჭიკო დანელია და ლუბა ხურციძე იბრძოდნენ. პიონერთა ოთახში ვინახავთ ჩვენს მერ ჩაწერილ ჭიჭიკო დანელიას ნაამბობს. თურმე

მცირე მიწაზე გამართული ბრძოლის დროს იგი მძიმედ დაიჭრა, საშინლად სტანჯავდა ჭრილობა. მალე იმ ადგილს დასახმარებლად სანიტარული ჯგუფი ეწვია. ბურანში მყოფ ჭიჭიკო დანელიას საკუთარი სახელი და ქართული სიტყვა შემოესმა.

— თავი სიზმარში მეგონა. თვალი გავახილე და ჩემი თანაკლასელი ლუბა ხურციძე დავინახე, მან გადამარჩინა, — იგონებს ახლა ჭიჭიკო დანელია. იგი ომის დამთავრებამდე მოქმედ არმიაში იბრძოდა.

სოფლის კლუბში ჩავატარეთ ჭიჭიკო დანელიასთან შეხვედრა. ამ ღვანელი ამბობს, რაც უფრო მეტს ივლით, ბევრს ნახავთ და გაიგებთ, მეტი გეცოდინებათო. ვიყავით ლენინურ ადგილებში. ვესტუმრეთ ვოლგოგრადსა და მოსკოვს. ქალაქ პოდოლსკში ჩვენი სკოლის მოსწავლეს მარინე ქვილითაიას წილად ხვდა ბედნიერება — იმ როიალზე დაეკრა, რომელზედაც თავის დროზე ლენინის და და დედა უკრავდნენ.

მარტის არდადეგებზე ულიანოვსკს ვესტუმრებით. ახლა ჩვენს რაზმეულში დიდი ფაციფუცია, მოძმე რესპუბლიკების დღეს ვამზადებთ.

რაზმეულის კომისარი

ბაბილინა ხვადაგიანი

დღეს ჩვენი სკოლიდან წასული ყველა ფრონტელი გავიხსენეთ. ძმათა სასაფლაოზეც გავედით. სკოლის ეზოში პიონერული კოცონიც ავაგიზგიზეთ. კოცონთან მთელმა კოლხიდამ მოიყარა თავი. მცირემიწელებს ყვავილები მივართვით, წავუკითხეთ ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, პოეტ კარლო დანელიას ლექსები. ომგადახდილებთან შეხვედრა ისე მოეწონათ კოლხიდელებს, — როცა გვხვდებიან, გვეუბნებიან ,ბაბილინა ხელმძღვანელს გადაეცით, პიონერული საყვირის ხმას ველოდებითო.

რაზმეული არავის ივიწყებს. პიონერთა ოთახში ასეთი კუთხეები მოვაწყეთ: „შინ მოუსვლელო, სადა ხართ!“ „ვალმოხდილი ვაჟკაცები“ და „ვდგავართ სამშობლოს სადარაჯოზე“. ხშირად ვაკითხავთ შინმოუსვლელის სანდრო ჭკუასელის დედას (სანდრო ჭკუასელს ფრონტზე წასვლამდე კარგად იცნობდნენ კოლხიდელები. ლექსებს წერდა). ახლა შინ მარტოდ ცხოვრობს სანდროს დედა. არ ვივიწყებთ არც ძველ რევოლუციონერებს — სკაზინოვს, ნადარეიშვილს, სორდიას და ჩიქოვანს, ვუვლით მათ საფლავებს.

ადრეც გითხარით, ძალიან გვიყვარს მოგზაურობა. ბაბილინა ხელმძ-

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახვედრად ბევრი რამ კეთდება ჩვენს სკოლაში. დავამზადეთ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტენდი.

მუდამ ხალისიანსა და მოუსვენარს, საქმიანსა და ყურადღებიან ბაბილინა ხელმძღვანელს წლეულს პიონერებთან მუშაობის 30 წელი მივულოცეთ.

— რა არის იმ ადამიანთა სიცოცხლე, ვისაც ხვალინდელი დღე არ უხარია, — იცის ხოლმე თქმა ბაბილინა ხელმძღვანელმა. იგი მუდამ მომავლის რწმენას გვინერგავს.

რაზმეულის საბჭოს წევრებს ბევრნი ხელმძღვანელი დარიგებულ ალებს, ამიტომაც არ უჭირთ თავიანთ რაზმებსა და რგოლებში მუშაობა. რაზმეულის საბჭოს წევრებს: ნუნუ ჯიქიას, ბესიკ ჩიხრაძეს, ჯულიეტა ონიანს, ეთერ ბერძენიშვილს, ნუკრი ტყაბლაძეს, ნანა კუკავას, ემზარ ჩიხლაძეს, ზაზა ბენიძეს, ლეილა კუჭუხიძეს, თამარ ქვარცავას, თინა გობეჩიას, მზია ბელეშაძეს.

რაზმეულში კარგად ვიცით, რომ ბაბილინა ხელმძღვანელს გაგრის რაიონში საუკეთესო პიონერხელმძღვანელთა შორის ასახელებენ. მას მიღებული აქვს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჯილდო, — „საუკეთესო პიონერხელმძღვანელის სამკერდე ნიშანი“.

— ის რა პიონერული აქტივისტია, რომელმაც დოლზე და საყვირზე დაკვრა არ იცის, — ამბობს ხოლმე ბაბილინა ხელმძღვანელი, ამიტომ გაგრის პიონერთა სახლში სპეციალურ წრეში დავდივართ იური დადაევთან. ის გვასწავლის პიონერულ დოლზე და საყვირზე დაკვრას.

ჩვენს შეკრებებს სკოლის პედაგოგებთან ერთად სოფლის თავკაცები, კოლხიდელი მშრომელები, პარტიის გაგრის რაიკომის წარმომადგენლები და სხვებიც ესწრებიან.

ბაბილინა ხელმძღვანელს ძალიან უყვარს ნაზი კილასონიას ლექსი უფროს პიონერხელმძღვანელზე, რომელიც პოეტმა ამ სამი წლის წინ საქართველოს პიონერხელმძღვანელთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს მიუძღვნა. ლექსი გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ დაიბეჭდა, ჩვენ გადავიწერეთ, ზეპირად ვისწავლეთ და ხშირად ვიმეორებთ ხოლმე:

„... ამხანაგო, პიონერთა
ხელმძღვანელო,
ამოცანა უსასრულოდ დიდია!“...

ბაბილინა ხელმძღვანელი ყურადღებით გვისმენს, ეღიმება და კვლავ ახალი პიონერული საქმეების შესასრულებლად გვიხმობს.

ზურაბ გოგია

ვერაფერს უხერხებენ

ავსტრალიის ქალაქ კვინსლენდის მცხოვრებთათვის ნამდვილ უბედურებად იქცა სამკუთხაყურებიანი, ერთ კილოგრამამდე წონის გომბეშო აგა. ათასობით გომბეშო დახტის ქალაქის ბოსტნებში, შედის ბინებში. საღამოობით ქუჩებში იმდენი გომბეშო იყრის თავს, რომ ავტომანქანით სიარული სახიფათო ხდება. დილით მაღვიძარა საათების ნაცვლად მათი „კონცერტი" აღვიძებს ადგილობრივ მკვიდრთ.

ყოველივე ამის მიზეზი კვინსლენდელების წინდაუხედაობა ყოფილა. საქმე ის არის, რომ რამდენიმე წლის წინათ მათ თურმე ბრაზილიიდან ასი გიგანტური გომბეშო ჩამოიყვანეს იმ იმედით, შაქრის ლერწმის მავნებლებს მოსპობენო. ახლა არავინ იცის, როგორ შეაჩერონ აგას გამრავლება — ავსტრალიაში მას ბუნებრივი მტერი არა ჰყავს. იგრძნობს თუ არა საშიშროებას, ეს წყალხმელეთა ცხოველი შხამიან ნივთიერებას გამოყოფს. არაერთი ძალლი გამხდარა მისი მსხვერპლი.

მწვანე დათვები

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოს ზოოპარკის დამთვალიერებლები უცნაური ამბის მხილველნი გახდნენ: აქ მობინადრე სამი თეთრი დათვი უცებ მწვანე ფერისა გახდა.

ვეტერინარებმა გულდასმით გასინჯეს დათვები, მაგრამ დაავადების ნიშანწყალიც ვერ აღმოაჩინეს. მხოლოდ მაშინ გაირკვა ყველაფერი, როცა იმ აუზის ანალიზი გააკეთეს, სადაც დათვები კარგა ხნობით ატარებდნენ ხოლმე დროს. აღმოჩნდა, რომ წყალი დიდი რაოდენობით შეიცავდა აზოტოვან ნივთიერებას, რაც მიკროწყალმცენარეთა მძაფრ ზრდას იწვევს.

მაგრამ დათვების ბეწვის ზედაპირზე წყალმცენარეები არ აღმოჩნდა. მაშინ ბეწვი მიკროსკოპიულად შეისწავლეს. თურმე შიგნით, ბეწვის ღრუში აუარებელი ლურჯ-მწვანე ფერის წყალმცენარე ჩასახლებულიყო. ამჟამად ზოოლოგების, ალგოლოგების (წყალმცენარეთა სპეციალისტების) და ქიმიკოსების წინაშე ძნელი ამოცანა დგას: არა მარტო ის გამოარკვიონ, თუ რა პირობებში შეაღწევენ წყალმცენარეები ბეწვის ღრუში, არამედ გამონახონ მათი „გამოსახლების" საშუალებაც. ჯერჯერობით კი სან-დიეგოს ზოოპარკის დამთვალიერებლები სიამოვნებით უყურებენ ბუნებაში არარსებულ მწვანე დათვებს.

მხედველობას ამოწმებს... ტელევიზორი

ტრადიციული ცხრილი, რომლის საშუალებითაც ოკულისტები — თვალის დაავადებათა ექიმები პაციენტის მხედველობას ამოწმებენ, შესაძლებელია ტელევიზორით შეიცვალოს. ასეთი ტელევიზორი — მხედველობის გამომკვლევი აპარატი შექმნა ხარკოვის ახალგაზრდა კონსტრუქტორთა ბიურომ.

მხედველობის შემოწმების პროცედურა ასეთია: პაციენტის წინ ეკრანზე, სპეციალურად შედგენილი პროგრამის მიხედვით, მიცურავენ შავი და თეთრი ზოლები. ზოლები ჯერ ფართოა, მერე კი უფრო და უფრო ვიწროვდება. სანამ პაციენტი მათ კარგად ხედავს, ყოველი ზოლის გამოჩენისას უნებლიეთ თვალებს ახამხამებს, რის ფიქსირებასაც ახდენს აპარატში მოთავსებული ხელსაწყო. თვალის ეს ბუნებრივი რეაქციის შეწყვეტა იმის მაჩვენებელია, რომ პაციენტი უკვე ვეღარ ამჩნევს გამოსახულებას. სპეციალისტების აზრით, აღნიშნული მეთოდით მხედველობის შემოწმებისას სრულიად გამორიცხულია შეცდომა.

მაკარონის მოყვარულთა სასიხარულოდ

ნეაპოლის ერთ-ერთმა გასტრონომმა დაპატენტა ახალი სახის მაკარონი. მისი თავისებურება ის არის, რომ ჩანგლებიდან არ სხლტება. ეს სიახლე ძირითადად უცხოელთათვის არის გამიზნული, რომლებიც გრძელ-გრძელი მაკარონის მირთმევისას უხერხულობას განიცდიან. თვითონ იტალიელები კი ბავშვობიდან ისე იწაფებიან, რომ მაკარონის ჭამის დროს ცარიელი ჩანგალი არასოდეს არ მიაქვთ პირთან.



500 მეტრის სიღრმეზე

ცნობილმა შვეიცარიელმა ოკეანოგრაფმა ჟ. პიკარმა ააგო ზღვის სიღრმეთა გამოკვლევისათვის განკუთვნილი წყალქვეშა ნავი. ეს 7,5 მეტრი სიგრძის ნავი 500 მეტრ სიღრმეზე ეშვება, სადაც შეუძლია მთელი დღე-ღამე დაყოს. ეკიპაჟი სამი კაცისაგან შედგება.

შარადები ქულჯურის ძეგლებზე

1

ნაწილი გახლავთ ფიზიკის,
რომელიც სწავლობს სინათლეს.
შარადისათვის იმ სიტყვის
წინა ორ ბგერას მიმართე.
სახელმწიფოში შესვლის და
გამომგზავრების ნებართვას
ოთხი ასოდან შარადის
კიდური სამი ემართა...
ახლა აკინძე ორივე,
თუ გსურს პასუხი გაიგო —
ათასწლეული გავიდა,
რაც ის ტაძარი აიგო.

2

საწყისად, ჩემო კარგო,
რაცა გვჭირდება ახლა,
დარბაზში აღმართული
ქვიტკირის ბოძი გახლავს.
მერე კი პასუხს გასცემ
შარადის მორიგ კითხვას:
თუ ფრინველია იხვი,
ჯიხვი რაღაა, მითხარ,
ტაძარს ააგებ მათგან,
შრომა არ გინდა დიდხანს.

3

ნათიბის მოსაგროვებელ
ხელსაწყოს სახელს მეტყვი,
ხუთი ბგერიდან არ გვინდა
კიდური სამის მეტი.
ძნის გასალეწი ადგილიც
თუ ცნობილია შენთვის,
მისი პირველი მარცვალი
იმ ნაწილს თავში ერთვის —
ისტორიული ძეგლია,
რა ჰქვია, მითხარ ერთი.

შ. ამირანაშვილი

ეჭვიანობა — ავტომობილია!



განყოფილებას ხელმძღვანელობს საქ. სსრ შსს სახ. ავტოინსპექციის სააღრიცხვო-საგამოცდო ქვეგანყოფილების სახ. ინსპექტორი პ. პანდელაკი.

შუქნიშნის სიგნალები

საგზაო მოძრაობის მოწესრიგებისათვის გამოიყენება მწვანე, ყვითელი და წითელი ფერის სიგნალებიანი შუქნიშნები, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ წრის ფორმა და ვერტიკალური ან ჰორიზონტალური განლაგება.

ვერტიკალურ შუქნიშნებში სიგნალები განლაგებულია ზემოდან ქვემოთ: წითელი, ყვითელი, მწვანე; ჰორიზონტალურად — მარცხნიდან მარჯვნივ: წითელი, ყვითელი, მწვანე.

შუქნიშნის დამატებითი სექციები

შუქნიშნები იდგმება გზაჯვარედინებთან, მოსიარულეთა გადასასვლელებთან და ინტენსიური მოძრაობის ადგილებთან.

ყველაზე გავრცელებულია სამსექციიანი შუქნიშნები. მათ სამი ფერის სიგნალები აქვთ — მწვანე, ყვითელი და წითელი. შუქნიშნის სიგნალებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

მწვანე სიგნალი — მოძრაობის ნებას რთავს სატრანსპორტო საშუალებებს და ქვეითად მოსიარულეებს. მწვანე სიგნალის ციმციმი აფრთხილებს, რომ მისი მოქმედების დრო იწურება და მალე ჩაირთვება ყვითელი სიგნალი.

ყვითელი სიგნალი — აფრთხილებს მძღოლებს და ქვეითად მოსიარულეებს სიგნალების შეცვლის შესახებ. ამ დროს იკრძალება სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობა. ქვეითად მოსიარულეებმა, რომლებიც სიგნალის ჩართვის დროს სავალ ნაწილზე იმყოფებოდნენ, უნდა მოასწრონ გადასვლა ან შეჩერდნენ სავალი ნაწილის შუაში.

წითელი სიგნალი — კრძალავს ყოველგვარ მოძრაობას. თუ წითელი სიგნალი მაშინ აინთო, როცა ქუჩაზე გადასვლას აპირებთ, ტროტუარზე უნდა შეჩერდეთ და მწვანე სიგნალს დაელოდოთ. ხოლო თუ შუაგზაზე მოგისწროთ — ქუჩის შუა ნაწილში უნდა გაჩერდეთ.

სამსექციან ვერტიკალურ შუქნიშნებს შეიძლება ჰქონდეთ ერთი ან ორი დამატებითი სექცია მწვანე ისრისებრი სიგნალებით. ასეთი შუქნიშნები ძალზე ინტენსიური მოძრაობის ადგილებში იდგმება.

მწვანე ფერის ისრები მძღოლს მიანიშნებს, თუ საით არის ნებადართული მოძრაობა. ისრები შეიძლება აინთოს ძირითადი შუქნიშნის მწვანე და წითელ სიგნალთან ერთად.

თუ შუქნიშანი მარცხენა მხრიდან აღჭურვილია ისრიანი დამატებითი სექციით, მაშინ სატრანსპორტო საშუალებებს მხოლოდ ამ სექციის მწვანე ისრის ანთების დროს შეუძლიათ გზაჯვარედინზე შესვლა და მარცხნივ მოხვევა, ასევე ნებადართულია მობრუნებაც. ქვეითად მოსიარულეს ქუჩის გადაკვეთა შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა სექციაზე მწვანე შუქი ანთია.

მარჯვენა მხრიდან მწვანე ისრის ანთების დროს კი სატრანსპორტო საშუალებებს მარჯვნივ მოხვევის ნება ეძლევა. თუ მარჯვენა ისარი ძირითადი შუქნიშნის წითელ სიგნალთან ერთად არის ჩართული, მაშინ მძღოლმა გზა უნდა დაუთმოს გზაჯვარედინისაკენ მარცხნიდან მოძრავ ტრანსპორტს (რომლის მხარესაც ამ დროს მწვანე შუქი ენთება). ქვეითად მოსიარულეებს ქუჩის გადაკვეთა მხოლოდ მწვანე შუქზე შეუძლიათ. ზოგიერთ შუქნიშანზე მინიშნებულია სიჩქარის გამომხატველი ციფრი. ასე რომ, თუ მძღოლი დაიცავს დადგენილ სიჩქარეს, მას შეუძლია მთელი ქუჩა შეუფერხებლად გაიაროს. (ასეთი შუქნიშნებია დადგმული ჭავჭავაძის გამზირზე).

ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის მოწესრიგებისათვის გამოიყენება შუქნიშნები, რომლებსაც აქვთ ორფერიანი სიგნალიზაცია, ზევით წითელი, ქვევით მწვანე ფერები ქვეითად მოსიარულეთა სილუეტების ან წარწერების სახით („გაჩერდით", „გადადით"). იმ ადგილებში, სადაც დადგმულია ასეთი შუქნიშნები, ქვეითად მოსიარულეებს ნება ეძლევათ გადავიდნენ სავალ ნაწილზე მხოლოდ შუქნიშნის მწვანე სიგნალზე. ამ შუქნიშნის მწვანე სიგნალის ციმციმი აფრთხილებს, რომ მალე ჩაირთვება წითელი სიგნალი.









ოთახში ავეჯის გადატანის რამდენიმე ხერხი შენ უკვე იცი. ახლა ესეც დაიხსომე: თუ ავეჯი მძიმეა, ფეხებს ქვეშ ქილის პოლიეთილენის ხუფები ამოუდევი. ავეჯი იოლად გაცურდება და იატაკსაც აღარ დაკაწრავს.











თხილამურებით სეირნობის ან სირბილის დროს ქუსლის ქვეშ თოვლმა იცის დაგუნდავება, ამის გამო ქუსლი აქეთ-იქით ცურავს, რაც ცხადია, მოძრაობას ხელს უშლის. თხილამურების საქუსლეზე რეზინის ნაჭერი დააკარი და ქუსლი თოვლს აღარ მიიკრავს.

წამდაუწუმ სახმარი წიგნების (უმთავრესად სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების) ძებნა თაროზე ან უჯრაში რომ არ დაგჭირდეს, გააკეთე ასეთი მოწყობილობა (იხ. ნახაზი). ასეთი სამაგიდო თარო ფიცრისაგანაც შეიძლება დამზადდეს და ლითონისგანაც (კარგია ფიურილის ფურცელი).

ასეთ ყუთში ჩაწყობილი სლაიდები ადვილი მოსაძებნი და ამოსაღებია, თუ სლაიდების თავზე ფერადი საიზოლაციო ლენტი იქნება გადაწებებული.

მაზიდის ტარებს აქეთ-იქიდან კარის სახელურები მიაჭედე და ხელის ზურგი აღარ დაგიზიანდება.

როგორ შეიძლება თხელ ფიცარში ხრახნის ჩამაგრება? ხრახნზე უნდა ჩამოაცვა წინასწარ მომზადებული თუნუქის ჯვარისებრი უღელი. დანარჩენს ამ ნახაზის მიხედვით მიხვდები.

სამეგული

ჩხეტიანი მ. — შენ გაგიმარჯოს, სიცოცხლეო გაღვიძებულო! (ლექსი) . . . . . გარეკ. 2
აფხაზავა ნ. — ვისწავლით, ვიშრომებთ და ვიცხოვრებთ ლენინურად (ნარკვევი) 1
ვინოგრადსკაია ს. — ბავშვის წადებით (მოთხრობა) 4
გრიგოლაშვილი დ. — უცნაური სტუმარი (მოთხრობა, გაგრძელება) 7
ღვინეფაძე ნ. — ადგილის დედა; სადღეობო; იმედი (ლექსები) 14
მიქაძე ქ. — გაგარინი (ლექსი) 14
ხარაზიშვილი ნ. — ნატვრა; უსათაურო (ლექსები) 14
ჭიჭინაძე ლ. — ბავშვების საყვარელი პოეტი (მოგონება ი. სიხარულიძეზე) 15
ეისი 16
ახალი წიგნები 16
ულენტი ვ. — მეათე მუზა (წეოილი) 18
გაგოშიძე შ. სანაძლეო (ფანტასტიკური მოთხრობა) 20
რას ეკვირჩევს სპორტული ექიმი; სპორტი და სასკოლო საგნები (რჩევა-დარიგებები) 27
„კოცონი". **გოგია ზ.** — მარჯვენაფლანგელი რაზმეულის კომისარი (წერილი) 28
ჯადოსნური სარკე 30
ამირანაშვილი შ. — შარადები კულტურის ძეგლებზე 30
ფრთხილად, ავტომობილი! 31
გამოგადგები 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3
თამაშობები . . . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ელისო ცაბაძისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის 93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03, 93-53-05
განყოფილებების 93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 23/II-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-80 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ეზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 222. ტირ. 149.800. უე 08426.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

თამაშობები ველოსიპედისტებისათვის

„სწრაფი ფეხი“ — ასე ითარგმნება სიტყვა „ველოსიპედი“ ლათინურიდან. და მართლაც, ეს ერთი შეხედვით სულ უბრალო იარაღი გვეხმარება კუნთების განვითარებაში, გვივარჯიშებს გულს და სუნთქვას. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო თამაშს, რომელშიც დიდებსაც და პატარებსაც წარმატებით შეუძლიათ მონაწილეობა.

რვიანი

მიწაზე იხატება 8-იანი, რომლის თითოეული რგოლის დიამეტრი იქნება 3-4 მეტრი. ამ რვიანის გასწვრივ, მიწაში 1,5 მეტრით ერთმანეთისაგან მოშორებით არჭობენ კეგლებს ანდა 30-40 სმ სიმაღლის ჯოხებს. თამაშის მიზანია: ველოსიპედით შემოუარო რვიანს ისე, რომ არც ერთი კეგლი არ გამოტოვო ან არ წააქციო. იმარჯვებს ის, ვინც ამას უფრო სწრაფად და მარჯვედ გააკეთებს.



ჭიქა წყალი

თამაშის მონაწილე ყველა ველოსიპედისტი ცალ ხელში იჭერს წყლით სავსე ჭიქას. ამოცანაა: გაიარო 100 მეტრი მანძილი ისე, რომ წყალი რაც შეიძლება ცოტა დაღვარო.

აბა, გამაგრდი უნაგირზე!

ოთხი ან ექვსი ველოსიპედისტი ერთდროულად იწყებს მოძრაობას ნებისმიერი მიმართულებით, 10×10 მეტრის მოცულობის სწორ ფართობზე. საჭიროა მეტოქის თამაშიდან გამოყვანა. მას გზა უნდა გადაუღობო ისე, რომ ვერ მოასწროს აქცევა, დაკარგოს წონასწორობა და იძულებული გახდეს მიწას ფეხით შეეხოს. წაგებული ტოვებს მოედანს. ბოლოს გამარჯვებული რჩება 2-3 ყველაზე მარჯვე ველოსიპედისტი — რომელთაც შეძლეს სხვაზე დიდხანს ველოსიპედზე თავის შემაგრება.



იმარჯვებს დაგვიანებული

ველოსიპედისტები განლაგდებიან სტარტზე და საერთო ნიშანზე იწყებენ მოძრაობას ფინიშისაკენ. მანძილი 30-40 მეტრია. იმარჯვებს ის, ვინც ველოსიპედიდან არ გადმოვარდება, გზაზე არ გაჩერდება და ფინიშთან ყველაზე ბოლოს მივა, ე. ი. დისტანციაზე სხვებზე მეტხანს დაყოფს. ამრიგად, იმარჯვებს ის, ვისაც უკეთ შეუძლია ველოსიპედზე წონასწორობის დაცვა.

გამოცანები

მე ზამთარში ვიბადები,
გაზაფხულზე ვკვდები,
ჭირისუფლად თავს
მადგანან
ცადაწვდილი მთები.

•

'წერილ ვარ და
ბადეს ვქსელავ
დღიურ ლუკმის
საშოვნელად.

•

ერთი ფეხი მაქვს
რკინისა,
ხოლო მეორე — ხის,
ვერავინ გამიტოლდება
შემორბენაში წრის.

•

ზღვაში ვცხოვრობ
ღღე და ღამე,
უსწრაფესი, ღონიერი,
ადამის ძემ მე მიწოდა
მეგობარი გონიერი.

ალექსი ნამორაძე

სიცოცხლის დედაბოძია—
სიტყვა არ გვინდა
პირფერი,
რომელი ბინაც ერგება,
ფორმითა ხდება მისფერი,
ზოგჯერ რბილია,
ზოგჯერ კი
მყარია, როგორც
თითბერი.

•

მშობლიურ სიყვარულისა
გრძნობა აქვს
გაუღვიძები,
თვითონაც ობლად
გაზრდილსა,
შვილსაც უზრდიან
ძიძები,
ჰყავდნენ ასეთი ბედისა
დედა, მამა და ბიძები.

გ. მარცვალაშვილი

პასუხი № 2-ში მოთავსებულ „სხრაკლიგულზე“

კროსვორდი

თარაზულად: 1. ზმნა; 5. თასი; 8. რვალი; 10. ტორტი; 11. ხახვი; 12. არომა; 15. აბიო; 18. ძელი; 20. სიმინდი; 21. ამგა; 22. ძარა; 23. კორპუსი; 24. ლირა; 26. აზია; 29. კალია; 32. ტემზა; 33. ნარმა; 34. ტარტუ; 35. კალო; 36. იდეა.

შვეულად: 2 მარსი; 3. არია; 4. პანო; 5. თიხა; 6. სახრე; 7. ეტნა; 9. ტიკი; 13. რემარკა; 14. მინკუსი; 16. „ბემბი“; 17. ოსაკა; 18. ძიძია; 19. ლურჯი; 24. ლოტო; 25. რამპა; 27. ზორგე; 28. ალაო; 29. კატო; 30. ლირი; 31. ანუი.

76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოტიპიდი ვ. ბორისენკოსი